

645  
1967

# სამკობრო ქალი


კ ბ ვ ნ ს მ  
№ 8 1967 წ.





ფოტო დ. იაკობაშვილის

12 აგვისტო შიკაგოში სკაუპირი დღე



192

ლენინი-ოპტომაზრის ბელადი

10.3.85

# სიყვასულის ლენინის გეგმარების 30 წელი

ლ. კუნეცაია

პირველად ისინი 1894 წელს შეხვდნენ ერთმანეთს ინჟინერ რ. ე. კლასონის ბინაზე, სადაც იკრიბებოდა პეტერბურგის რევოლუციური ახალგაზრდობა.

კლასონთან ვლადიმერ ილიას ძის ყურადღება მიიპყრო საკვირაო სკოლის ძალიან სათნო და ჭკვიანმა მასწავლებელმა. ახალგაზრდობაში კრუპსკაია კარგი გარეგნობის იყო. ჰქონდა დიდი მონაცრისფერო-მომწვანო თვალები, წელამდე უწევდა ნაცრისფერი ნაწნავი.

პირველივე შეხვედრით გამოირკვა ამ ორი ახალგაზრდა ადამიანის შეხედულებების, ინტერესების და მისწრაფებების ერთიანობა. იმ ხანებში უკვე ორივენი ეწეოდნენ რევოლუციურ მუშაობას. შეხვედრები გახშირდა. ნადეჟდა კონსტანტინეს ასული უყვებოდა ვლადიმერ ილიას ძეს თავის საკვირაო სკოლაზე, მუშებზე, რომლებიც იქ სწავლობდნენ, იმ ფაბრიკების მდგომარეობაზე, სადაც მისი მოსწავლეები შრომობდნენ.

1895 წელს ვლადიმერ ილიას ძე მძიმედ ავად გახდა ფილტვების ანთებით. მან განსაკუთრებით მაშინ იგრძნო ნადეჟდა კონსტანტინეს ასულის მზრუნველობა, სითბო და ყურადღება, როცა თავის პატარა ოთახში იწვა, ოჯახისგან და მოსიყვარულე დედისაგან მოწყვეტილი. ნადეჟდა კონსტანტინეს ასული თითქმის ყოველდღე ნახულობდა ლენინს და თავდაუზოგავად უვლიდა.

იმავე წლის დეკემბერში მათ უბედურება დაატყდათ — დააპატიმრეს „პეტერბურგის მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირის“ ხელმძღვანელები და აქტივისტები. წელიწადზე მეტ ხანს იყო ლენინი ციხეში, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში მას და ნადეჟდა კონსტანტინეს ასულს მიმოწერა ჰქონდათ ერთმანეთთან. როცა ნადეჟდა კონსტანტინეს ასულისაგან წერილი იგვიანებდა, ვლადიმერ ილიას ძე ციხიდან ეკითხებოდა ამხანაგებს, ისიც ხომ არ დააპატიმრესო. ლენინი განცალკევებით იჯდა საკანში მას



ახლობლებთან და ნაცნობებთან შეხვედრის უფლება არ ჰქონდა, მაგრამ ძალიან უნდოდა შორიდან მიენც მოეკრა თვალი ახლობელი და საყვარელი სახისათვის.

კრუპსკაიას დაპატიმრების შემდეგ მათ შორის მიმოწერა არ შეწყვეტილა. ნადეჟდა კონსტანტინეს ასული ჯერ კიდევ ციხეში იყო, როცა ვლადიმერ ილიას ძე ციმბირში, გადასახლებაში უნდა წასულიყო. გამგზავრების წინ მან ელიზავეტა ვასილის ასულის (ნადეჟდა კონსტანტინეს ასულის დედის) საშუალებით გადასცა გასაშვირავი წერილი, რომელშიც წერდა თავის დიდ სიყვარულზე, ხოლო შემდეგ, შუშენსკოედან გამოგზავნა ვრცელი წერილი, სადაც ნადეჟდა კონსტანტინეს ასულს თხოვდა მისი ცოლი გამხდარიყო და თავისთან ეძახდა.

ნადეჟდა კონსტანტინეს ასულმა ამ წინადადებას თანხმობით უპასუხა, რის შემდეგაც მათ პოლიციაში შეიტანეს თხოვნა, ნება დაერთოთ კრუპსკაიასათვის, როგორც გადასახლებული ულიანოვის საცოლისათვის, სამი წელი მოეხდა შუშენსკოეში და არა უფაში. პოლიციამ ნება დაართო და ნადეჟდა კონსტანტინეს ასული დედასთან ერთად შეუდგა სამკვირიან, მომქანცველ მოგზაურობას.

დაიწყო გადასახლების წლები. ენატრებოდათ მშფოთვარე ქალაქის ცხოვრება და მჩქეფარე რევოლუციური ბრძოლა, უმძიმდათ პოლიციის მუდმივი მეთვალყურეობა, არ ჰქონდათ ახალი გაზეთები და წიგნები, მაგრამ ეს წლები მაინც ბედნიერების წლები იყო. ლენინი და კრუპსკაია მარტონი არ დარჩენილან, ციმბირის ველებისათვის 100 ვერსი მანძილად არ ითვლებოდა. ხოლო მიწისინსუის მხარეში ბევრი თანამებრძოლი მეგობარი ცხოვრობდა: კრეტიანოვსკები, ლეპეშინსკები, სტარკოვები, ვალეევი და სხვები. ისინი ყოველი ხელსაყრელი მომენტით სარგებლობდნენ, რომ ერთად შეკრებილიყვნენ.

ვლადიმერ ილიას ძე ნადირობამ გაიტაცა. ირგვლივ შესანახავად ადგილები იყო. ნანადირევი იმდენად არ ახარებდა, რამდენადაც ბუნებასთან სიახლოვე. თითქმის ყველა წერილში ნადეჟდა კონსტანტინეს ასული და ვლადიმერ ილიას ძე წერდნენ ნადირობაზე, რომელიც დაძაბული შემოქმედებითი შრომისაგან დასვენების საშუალებას იძლეოდა.

უკვე აქ, შუშენსკოეში გაიგო ნადეჟდა კონსტანტინეს ასულმა, თუ რა კარგად იცნობდა რუსულ და საზღვარგარეთულ პოეზიას ლენინი. ისინი საუბრობდნენ პუშკინის, ნეკრასოვის, ჩერნოშევსკისა და დობროლიუბოვის შესახებ. ბევრს ჰყვებოდა ვლადიმერ ილიას ძე თავის ოჯახზე, საყვარელ დედაზე, ადრე გარდაცვლილ მამაზე.

ჯერ კიდევ დაქორწინებამდე გაეცნო ნადეჟდა კონსტანტინეს ასული ულიანოვების მთელ ოჯახს. ის ორგანულად შევიდა ამ ოჯახში, სადაც ყველანაირი ერთი ინტერესებით ცხოვრობდნენ. ვლადიმერ ილიას ძე შუშენსკოედან ყოველ წერილში უკვებოდა დედას ნადეჟდა კონსტანტინეს ასულზე, უნარდა, რომ მათ შორის თბილი ურთიერთობა დამყარდა, რომ მარია ალექსანდრეს ასული მის მომავალ ცოლში თავის ქალიშვილს ხედავდა.

ვლადიმერ ილიას ძის დედ-მამას ძალიან უყვარდათ ერთმანეთი, ერთმანეთთან ურთიერთ-

ბაში იყვნენ გულთა, სუფთა და სამართლიანი. ლენინს საკუთარი ოჯახის შექმნისას თვალწინ ედგა მშობლების შესანიშნავი მაგალითი. როდესაც ვლადიმერ ილიას ძემ და ნადეჟდა კონსტანტინეს ასულმა დაქორწინება გადაწყვიტეს, შეთანხმდნენ, რომ ერთმანეთისთვის არ დაეწყოთ ჩაიხიხივები და არც დაეშალათ, თუ მათი ურთიერთობა შეიცვლებოდა. სრული ნდობა, — აი საფუძველი, რაზეც უნდა აფშენებიათ თავიანთი საერთო ცხოვრება.

არც ვლადიმერ ილიას ძე და არც ნადეჟდა კონსტანტინეს ასული არ აპირებდნენ თავიანთი ქორწინების გაფორმებას საეკლესიო წესით, მაგრამ სულ მოკლე ხანში მოვიდა პოლიცემისტერის ბრძანება: ან ჯვარი დაეწერათ, ან ნადეჟდა კონსტანტინეს ასულს დაეტოვებინა შუშენსკოე და წასულიყო უფაში, თავისი გადასახლების ადგილას.

„მოვიხიბდა მთელი ამ კომედის ჩატარება“ — ამბობდა ნადეჟდა კონსტანტინეს ასული.

იმ ყრუ მხარეში, სადაც ისინი ცხოვრობდნენ, არ იმოვებოდა ნიშნობის ბეჭედი, მაგრამ გადასახლებულთა შორის იყო ყველაფრის ოსტატები — ენგებერგი. ჩვეულებრივი ფოლადის შაურიანისაგან მან დაუშვადა სიძე-პატარძალს ნიშნობის ბეჭედი: თხელი და პატარა — ნადეჟდა კონსტანტინეს ასულს, მასიური — ვლადიმერ ილიას ძეს. მხოლოდ ერთხელ წამოიცივს მათ ეს ბეჭედი, ჯვარისწერისას. მაგრამ ამ ძვირფას სუვენირს ნადეჟდა კონსტანტინეს ასული სიცოცხლის ბოლომდე ინახავდა. მრავალი წლის შემდეგ, როცა ვლადიმერ ილიას ძე გვერდით აღარ იყო, იგი ნახად დაჰყურებდა ბეჭედს, ასე ბუერს რომ ჰყვებოდნენ შუშენსკოეზე, შორეულ ახალგაზრდობაზე, დიდ, მარადიულ სიყვარულზე.

მაგრამ გადასახლების წლები მხოლოდ სიყვარულით არ იყო სახე. ორიენტი ბევრს მუშაობდნენ. ვლადიმერ ილიას ძე აქ ამთავრებს ფუნდამენტალურ გამოკვლევას — „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“, ნადეჟდა კონსტანტინეს ასული კი წერს თავის პირველ წიგნს „მუშა-ქალი“.

აქ, შუშენსკოეში შეერვია ვლადიმერ ილიას ძე, რომ მთელი თავისი ნაშრომები პირველად ცოლისთვის წაეკითხა, გაეცო მისი ობიექტური და უტყუარი აზრი. „ნადა, — ამბობდა ის, — ჩემი ყველაზე პირველი და მკაცრი კრიტიკოსია“.

ლენინის გადასახლების ვადა უფრო ადრე დამთავრდა, მაგრამ შუშენსკოედან ისინი ერთად წამოვიდნენ. არც ერთი დღე არ შექმლო ვლადიმერ ილიას ძეს გაჭირვებულიყო ამ ყრუ მხარეში, საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ბრძოლისაგან ასე შორს. მან ნადეჟდა კონსტანტინეს ასული უფაში ჩაიყვანა. თვითონ ცოტა ხნით რუსეთის ცენტრალურ რაიონებში შეჩერდა. ინახულა დედა, დები და ძმა, მოიწვია თანამოაზრეთა თათბირი, მცირე დროში გიგანტური მუშაობა ჩაატარა მარქსისტული წრეების გასაერთიანებლად, შემდეგ კი გაემგზავრა საზღვარგარეთ „ისკრის“ გამოცემის მოსაგვარებლად. ასე დაიწყო ემიგრაციის წლები. თვეების მანძილზე, რაც კრუპსკაია უფაში

ცხოვრობდა, მათ გაცხოველებული მიმოწერა ჰქონდათ.

დაბოლოს, ისინი შეხვდნენ ერთმანეთს, რომ აღარასოდეს დაშორებულიყვნენ. ახლა ისინი ერთად იყვნენ შვეიცარიაში, საფრანგეთში, ინგლისში, პოლონეთში. ბევრ ქალაქებში უხდებოდათ მათ ყოფნა, ასობით სხვადასხვა ადამიანს ხვდებოდნენ და ლენინი ყველგან იყო პროლეტარიატის მებრძოლი პარტიის შექმნისა და შექმედროვნების საქმის ცენტრში, მის გვერდით კი ყოველთვის და ყველგან იყო ცოლი, მეგობარი, თანამებრძოლი — ნადეჟდა კონსტანტინეს ასული.

ყურადღებოანი და გულთბილი ნადეჟდა კონსტანტინეს ასული ცდილობდა დაეცვა ქმარი ცხოვრების ყოველგვარი წვრილმანი უსიამოვნებისაგან, გაეღამაზებინა მისი დასვენების იშვიათი წუთები, — და ვლადიმერ ილიას ძეც უხდებოდა მას ისეთივე ზრუნვითა და სინაზით. ერთხელ პარტიის ძველ წევრთან ერთად ლენინი პარიზის გარეუბანში გაემგზავრა. ისინი აყვავებულ მიწაზე მიდიოდნენ. უცბად, ვლადიმერ ილიას ძე ველოსიპედლიდან ჩამოვიდა და გვიროლების კრეფა დაიწყო. დაკრიფა დიდი თაიგული და ველოსიპედზე მიამაგრა. ამხანაგის გაკვირვებულ მზერაზე ვლადიმერ ილიას ძემ თქვა: „ეს ნადეჟდა კონსტანტინეს ასულისაა. მას გვიროლები ძალიან უყვარს“.

როცა ვლადიმერ ილიას ძე მუშაობით დაიღლებოდა, ზურგჩანთებს ჩაალაგებდა და ნადეჟდა კონსტანტინეს ასულთან ერთად შორს მთებში მიდიოდა.

ასეთ გასაერნებას ისინი სიტემატურად აწყობდნენ, ცდილობდნენ გვერდი აეარათ გატკეპნილი მარშრუტებისათვის და დიდ სიამოვნებას ბოულობდნენ ახალი სილამაზეების აღმოჩენისას.

მათ ველოსიპედით სეირნობაც იტაცებდა. შემოვლილი ჰქონდათ პარიზის, ვენეციის, ლონდონის გარეუბნები. ვლადიმერ ილიას ძე არ ქირაობდა ოთახს და ყოველთვის ცდილობდა გაჩერებულიყო პანსიონში, რათა ცოლი საოჯახო საქმისაგან გაენთავისუფლებინა.

საზღვარგარეთ მცხოვრები თითქმის ყველა ბოლშევიკი მათი თანატოლი იყო. საერთო პოლიტიკური შეხედულებების გარდა, მათ აერთიანებდათ საერთო გემოვნება, გატაცება. ხშირად იკრიბებოდნენ ემიგრანტთა პატარა ბინებში, და ენევისა და პარიზის მთელმხარე ქუჩებში იფანტებოდა რუსული რევოლუციური სიმღერები, ისმობდა ჩაიკოვსკის, სკრიაბინის მუსიკა.

ძალიან ხშირად იყვნენ ვლადიმერ ილიას ძე და ნადეჟდა კონსტანტინეს ასული სემაშკოს, ბონნ-ბრუვერის, ლუნაჩარსკის სტუმრები და თუ ოჯახებში ბავშვები ხვდებოდნენ, ისინი მაშინვე გრძობდნენ მასში მეგობარს და არ შორდებოდნენ.

ემიგრაციაში ყოფნისას ნადეჟდა კონსტანტინეს ასული გულმოდგინედ ეცნობოდა სხვადასხვა ქვეყანაში სასკოლო საქმეს. მას დიდი პედაგოგიური ნიჭი ჰქონდა და ეს ნიჭი ფართოდ გაიშალა მის სამშობლოში ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ.

დასასრული შემდეგ ნომერში

# სიყვარული საქართველოში



რ ე კ ო რ ტ ა უ ო

კარგია ქართლის ბარაქიანი მიწა. ადგილ-ადგილ გარტიანებს დამათრთობელი სურნელით, ადგილ-ადგილ ბალს ალანძია გავესებული ლოყები, ალუჩებს მკერდი მოუღვლიათ და ფოთოლთა სარკმელიდან ცვივიან, ყანები თქოდასრულებული ქალიშვილებივით კეკლუცობენ და კაბის შრიალით გეგებებიან, ფაზებს ლურჯი თავმანდილი წაუკრავთ და პატარა მკერდები აბურცვიათ, ლამაზად, წეროების გუნდავით მისდევენ ერთმანეთს ჭარხლის გაუთავებელი მწკრივები. ღვთის თვალი ტრიალებს ამ დალოცვილ მიწაზე და კალთა დაუბერტყია შემოქმედს.

მიდისარ და არ თავდება ბუნების ჯადოქარი თითებით ნაქსოვი და ნაძერწი ხალიჩები. ათასი ფერები, უთვალავი ხმები, წკრიალა ნაკადულები და რაც მთავარია, ქართლელი გლეხის ასლობელი, რაღაც მშობლიური, ჟრუანტელგარეული, სითბოჩაღვრილი გამოხედვა.

ფლავეში მივდიოდი, მაგრამ ჩემდაუნებურად ტყვიავში შევეჩერდი. გზის პირას თონეში ჩაკიდული კოპწიად თავწაკრული დედაკაცი. იქვე ტიტლიკანა, გოჯის ტოლა ბიჭი წიწვნიდა კვერს, ცხელი პური პირსა და ფუნთუშა ხელებს უწვავდა, მაგრამ ბიჭი არ ეშვებოდა, ხან ერთ ყბაში მოიქცევდა ლუკმას, ხან მეორეში...

- ქალის ხმამ გამომარკვია. ხელში პურები ეჭირა
- გატეხეთ, ცხელი პურია!
  - რასა ბრძანებთ, გმადლობთ.
- ქალმა პურები შემოჰყარა მანქანის კაბინაში
- გვაგვიანდება, ფლავეში მივდივართ.
  - ფლავეში? შოთა ავად არის.
  - კოლმეურნეობის თავმჯდომარე?
  - ჰო, თავმჯდომარე.

არ მესიამოვნა და ქალს დავეშვიდობე. ნელა მიიწვიდა ავტომობილი აღმართზე და ვფიქრობ-

დი ხალხის სიყვარულის ძალაზე, რომელმაც არ იცის საზღვრები და თანაბრად ჟონავს ყველგან, როგორც მაცოცხლებელი წყალი წყაროსი, მარად ახალგაზრდა, მარად დაუბერებელი, მარად ახალი და მარად სავსე.

კანტორაში პარტიული ორგანიზაციის მდივანი, სოციალისტური შრომის გმირი, განთქმული მესილე, გორული ვაშლის მინდია ვახტანგ გოგშელიძე დაგვეხვდა. იგი მორიგი პარტიული კრებისათვის ამზადებდა მასალებს. მთავარი ბუხჩალტერი გაიოზ გიუნაშვილი ციფრებში ჩაკარგულიყო — შეიძლება ამ ციფრებს გადავხედო?

— სიამოვნებით.

და მართლაც სასიამოვნო იყო ბაასი ციფრებ-

თან. ართიმეტიკა მუხჯი ჭეშმარიტებაა, უფრო სწორად მუხჯი მხატვარია, მხატვარი რეალისტი, რომელიც ერთის შეხედვით მშრალსა და გაყინულ ციფრებში უხილავ გამას ურევს და გოცემბ პალიტრის მრავალფეროვნებით.

ათი წლის მანძილზე ფლავეში ხორბლის მოსავალი ჰექტარზე 13,8 ცენტნერით გაზრდილა, სიმინდის — 37,7; შაქრის ჭარხლის — 94,8, ხილის — 43,7, ყურძნის — 6,1 ცენტნერით. ეს ციფრების მხოლოდ ნაწილია, რომ აღარაფერი ვთქვათ ფულად შემოსავალზე, რომელიც 4-ჯერ გაიზარდა, თვითღირებულებაზე, რომელიც მინიმუმამდეა დაყვანილი. ჭეშმარიტად დიდებულად უმუშავნიათ ფლაველებს!

უცებ გამოვეჩვიე. ჩემი ყურადღება სითბოგარეულმა ჟრიალულმა მიიპყრო. ოთახში ახალგაზრდა, ოდნავ ფერწასული, თავისთავში დარწმუნებული და დაჯერებული კაცი შემოვიდა. მაღალი შუბლი და ჭკვიანად მომზირალი თვალები. დინჯი და დაფიქრებულად მოლაპარაკე. მართლაც ავად ყოფილიყო და დღეს უბრუნდებოდა საქმეს. იქ მყოფთ გადავხედე წამით. დიმილი ჩადგომოდათ კეთილ თვალებში. ასე მხოლოდ დიდ სიყვარულს შეუძლია გაარინდოს კაცი...


და მე კვლავ უნდა დაუბრუნდე იმ ათ წელიწადს. ათი წლის წინ ჩაუდგა ამ სოფელს სათავეში ახალგაზრდა ეკონომისტი შოთა ეცადა-შვილი და ამ ათ წელიწადში მოხდა ის, რასაც ზოგჯერ სასწაული ჰქვია, უბრალოდ სხვა სიტყვას ვერ იხმარ, თორემ ახლა ვის სჯერა სასწაულის? სასწაული ხალხია და მეტი არაფერი.


მიუხედავად ჩემი წინააღმდეგობისა, შოთა სოფელში გაგვიდგა დინჯი ნაბიჯებით

— იცით, შოთა, ტყვიავში მითრებს თქვენს შესახებ..

- აღარ დამამთავრებინა.
- ტყვიავში?
- ჰო, გზად.

არაფერი უთქვამს. ბალახი მოწიწა და სწრაფად, ოსტატურად გადაიტანა საუბარი სხვა საკითხზე. წინ ვახტანგი და შოთა მიდიან განგებ ვითრევენ ფეხს. გაიოზიც ჩამოვიტოვე.





ლიზა გაგაშვილი

— გაიოზ, როგორ შეგხვდით ფლაველები მაშინ პირტიტველა ბიჭს?  
 — არავის გაგვეკვირვებია.  
 — როგორ?  
 — შოთა ყოველ ზაფხულს ბრუნდებოდა სოფელში და მუშაობდა, მისი დანახვა ზოგიერთებს არც სიაშოვნებდა.

— ვის, მაგალითად?  
 — ახალგაზრდებს, რომლებიც არ მუშაობდნენ, შოთა ყოველთვის კიცხავდა და ეჩხუბებოდა... სიმართლე გითხრათ ეშინოდათ მისი.  
 — შემდეგ?  
 — შემდეგ ან შრომა არჩევს ან ვაქცევს...

სხვანაირად როგორ მიიღებდნენ ფლაველები საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსა და პროფსაბჭოს გარდამავალ წითელ დროშას! სხვანაირად წარმოუდგენელი იყო სოციალისტური შრომის გმირის, მეხილე ბრიგადირის ვახტანგ გოგშელიძის, ლენინის ორდენისანი მეხილეს ნიკოლოზ მეტრეველის, შრომის წითელი დროშის ორდენის კავალრების — ავთანდილ გიუნაშვილის, ვლადიმერ ფონდიშვილის, მეჭარხლის ევგენია ნიკოლოშვილის და სხვათა წარმატება. და განა ყველას ჩამოთვლი? ჩვენ ვნახეთ, როგორ შრომობდა ცხრა გოგონას დედა ანიკო ხოსიაშვილი ჭარხალში, შვიდი ბიჭის დედა მარიამ ახალაძე — ბაღში... მეათე კლასის მოსწავლე ლიზა გაგაშვილი, რომელსაც მუშაობის 7 წლის სტაჟი აქვს, ოსტატურად რგავდა პატარა ჩიორა ხელებით კომბოსტოს ჩითილს.

შოთას ვახტანგ გოგშელიძის ბრიგადის წევრებთან ჩაუმუხლია. ხამუშხამუშ, სიყვარულით გახედავენ ხოლმე შვილის კბილა სოფლის თავკაცს სალომე ეცადაშვილი, კუნწულა ახალაძე, ელენე მახნიაშვილი, მარო ფოსური, მაცყალა ვაზაგაშვილი და წუთით არ ელევან საქმეს.

ფრთხილად გადავკვრით ბოსტანი და ლურჯად ადლებულ ყანას შევერეთ. მაჯის სიმსხო თავთავებს რძე მოწოლოდათ ჯიქნებში და ღონივრად გვცემდნენ მკერდზე. მუსლდონიერი, ჯიშინი ყანა გველობებოდა და წინ აღარ გვიშვებდა.

— აქ ძველი ხილი ამოვიძირკვეთ, — მისხნის შოთა.

— ბაღს აღარ გააშენებთ?  
 — გააშენებთ, ოღონდ ჯერ უნდა დაისვენოს მიწამ. — იგი გატაცებით ჰყვება მიწის, გლეხის მესხეთე გრძნობის საიდუმლოებაზე, ჰყვება, თუ რატომ ხნავენ მიწას საპლანტაჟედ, რა კავშირი აქვს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასთან და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან, სად, რომელი ნაკვეთი რომელ სასუქს მოითხოვს. ეს საუბარი განმტკიცებულია მეცნიერული ცოდნით, პრაქტიკული გამოცდილებით, ეს საუბარი მოდის ნათელი გონებიდან, ხალხის გულიდან.

— აი, ხედავთ, — მეუბნება შოთა, — ჭარხალი ირწყვის.

— ვხედავ.  
 — ახლა სჭირდება მას წყალი, თავს იხვევს. საკმარისი იყო აჩქარება ან დაგვიანება, რომ ყველაფერი ამაოდ ჩაივლიდა.

კანტორისაკენ გვიმოკლდება გზა. საათის ისარს სადღაც ავგვიანდება. კანტორაში სიფაქიზე და სიწყინარეა. ვფურცლავ კოლმეურნეთა შემოსავლის აღმწერს ველ ფურცლებს, რომლებიც ასე თავმოშეწონედ დალადებენ დიდსა და კეთილ საქმეებზე. ვათვალიერებ კედელზე გაკრულ ღონისძიებების გეგმას, რომელიც უნდა ჩატარდეს დიდი ოქტომბრის საიუბილეოდ. აქ წარმოუდგენელი ციფრებია, მაგრამ უნდა დაიჯეროთ, რადგან ეს ხალხის ნათქვამია, აქ არაფერია დავიწყებული — შრომა, დასვენება, წარსული... 15 მაისს საზეიმოდ გაიხსნა ომში დაღუპულთა შესანიშნავი ობელისკი. ფლაველებს ერთი სიხარულიც შეემატათ: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით კოლმეურნეობა შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვდა.

სულ უფრო უმჯობესდება კოლმეურნეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები. ვეებერთელა კლუბი აუშენებიათ. აშენდება საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი, პიკიენის სახლი, სპორტული კომპლექსი, ქალთა და მამაკაცთა საპარიკმახერობები... ფლაველები ყველაფერს ასწრებენ. 20 კოლმეურნე დაუსწრებლად სწავლობს უმაღლეს სასწავლებლებში. შუბა მეტრეველი მომავალი აგრონომია, ჟოველინა თენაძე — ჟურნალისტი...

— ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ საკუთარი თავისთვის თუ გრჩებთ დრო?  
 შოთა იღიმება.

— როგორ გითხრათ, ვახერხებ.  
 შოთა ასპირანტურას ამთავრებს. მისი საკანდიდატო შრომა „სოფლის მეურნეობის გაძლიერების თანამედროვე სისტემა“. უკვე ჩამოყალიბებულია სტამბაში მისი წიგნი „წყალი — სიუხვის გასაღები“. შოთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატია, ატარებს უმაღლეს ჩილოდს, ლენინის ორდენს და მხოლოდ 35 წლისაა.

ვემშვიდობები ფლაველებს. კანტორის წინ პატარა რუ ჩამოდის. ჩემი ყურადღება ფუტკრების გროვამ მიიპყრო. ისინი რუს ნაპირზე, სველ ქვაზე ფუსფუსებენ, წყურვილს თუ იკლავენ. შოთა მიაჩრდა მათ. მერე მომიბრუნდა:

— ყველამ რამ ასე ფუტკრიბით ვიშრომით, კიდევ უფრო ლამაზი იქნება ცხოვრება ქვეყნად.



ო. შმირტიანი და ნ. კილიშვილი



ნ. მღვიმელი

# ვეცხლის ნაცვები



მხატვარი ნანა მესხიძე

მ ო თ ხ რ ო ბ ა

მთელი ბალახზე გულადმა ვწევართ; ციცაბო ფერდობია და, რომ არ დაცურდეთ, ფეხები ცაცხვს გვაქვს მიბჯენილი. ნატო გაზუთის ნახევს უაზროდ ჩაშტერებია; მე ჭიანჭველის ნაკბენ შიშველ მკლავს მიწაზე ვუსვამ. მთელი ამ სიგრძე ზაფხული შავი ხალათი მეცვა; ეს მესამე დღეა, თეთრი ხალათი ჩავიცვი და გულადმა რომ ვწვები მთელი ბალახზე, იმ ხალათს იელის ტოტზე ვკიდებ. მწვანედ დალაქავებული ხალათით ბალის ჩავლას, რაც არ უნდა მწარე იყოს, ისევე ჭიანჭველის ნაკბენი მირჩენია.

ნატო ჩემსკენ ტრიალდება:

— ჩემი ბრალია ყველაფერი, — ღრმად ოხრავს.  
— ცოტა მეც ვარ დამნაშავე; მაშინ ბაზარში არ უნდა მეთქვა ის სიტყვა.

— აქამდე არც გამხსენებია.  
— შეიძლება. მე მეგონა, ხუმრობად მიიღებდი...

შარშან იყო: ჩემს დას ბაზარში გავეყვი. საკომპოტე ატამი უნდა გვეყიდა. ვხედავ, ნატო, მე რომ ისე ზღვაზე მეგონა, აგერ ვაშლს არ ევაჭრება ვილაცას?! გავეხმარე, აფრიკაში რა ამბავია-მეთქი. „ვითომ ასე ძალიან ვარ გახუხული თუ ქათინაურიაო“. რა მექათინაურება-მეთქი, — და ჩემმა ღბმაც დამიძახა: თუ მოსახმარებლად წამოხველ, მომეხმარე, არადა, ეგ კალათა მაინც მომიტანეო.

— გამიჭირა საქმე! — ჩავილაპარაკე.  
— ცოლი შეირთე და აღარ გაგიჭირებს საქმეს, — მირჩია ნატომ.  
— ვინ შევირთო მერე?

— ქალებს მეტი რა არის, მარტო გაიხედ-გამოიხედე.  
— შენისთანა კარგი გოგო მე არ გამომყვება, სხვას კი არ ვითხოვ  
— ვითომ რატომ არ გამოგყვება? — გაიციინა...

ეს-ესაა გადავადე სიგარეტის ნამწვი და ახალს ვუკიდებ.  
— ბევრს ეწევი ძალიან, — შეუბნება ნატო, — ამავე დროს სასამელსაც ეძალეები. ერთად გაიზარებებ, იცოდე.

— ჯანდაბას ჩემი თავი!..  
ქორწორზე მისვამს ხელს, ოდნავ მიღმის, თავით-ფეხებამდე მათვალიერებს.

— პირველად რომ დაგინახე, ვიფიქრე, ეს ხულიგანი ვინ არის-მეთქი. რომ გაგიცანი და დაგიახლოვდი, იმ გაფიქრების შრცხვენოდა. — მკერდზე მადებს თავს. მკერდი ვთქვი, თორემ ძაან მკერდი მაქვს! — ჰა და ჰა, ერთი გაჭიმული მტკაველია...

— არ ვიცი, რა გირჩიო... — მინდა, კიდევ ვუთხრა რამე, მაგრამ სიტყვები ვერ მიპოვია.  
— რაღაცას ვიღონებ...

ცაცხვს ისე აქვს ტოტები ჩამობურული, მთელი დღე ასე რომ ვიწვეთ, მზე არ მოგვადგება.

— უკანასკნელად როდის დალიე? — მეკითხება ნატო.  
— გუშინ.

კუყურებ და ვხედავ, როგორ უწყლიანდება თვალები. მერე ლოყაზე

მსხვილი ცრემლი მოგორავს. ის ცრემლი ნიკაპს მოჰყვება და მკერდზე შეღვენთება. მე თავს ვწვე, ლოყას ლოყაზე ვადებ.

— ადრე რომ მცოდნოდა, — ისევე ბალახზე ვწვები, — გეთქვა, შე კაი ქალო...

— ვერ მოვახერხე.  
— ახლა როგორ მოახერხე! — ხმას აგუწიე.

— ათასნაირად განიშნე, ვერ მიხვდი და, რა ჩემი ბრალია. ჯერ ბიჭთან არ გამეველო, შენ კი ყველგან მოგვევლიდი. რატომ ვერ მიხვდი? სხვა რაღა გამეკეთებინა? — სახეზე აიფარა ხელი, ქვითინებს.

მე მეგონა, მეგობარი იყავ.  
— აკი ქალ-ვაჟის მეგობრობა ზღაპარიაო?

ხელი ისევე თავქვეშ მაქვს ამოდებული, მაღლა ვიხედები: ცაცხვის ტოტებში გამომკრთალ ცას ვეძებ. ნატო გახევევული ზის.

მზე ახლახან გადაიხარა გორებისაკენ. როცა გრძელი ჩრდილი მაღალ ხეებს მიადგება, ჟრიალით აივსება ბალი. ახლა გარკვევით ისმის შადრევნის ხმაური. საღამოთი კი, როგორც არ უნდა მიაყურადო, წყლის შრიალს ვერ გაიგონებ.

— დედაშენმა იცის? — მხარზე ხელს ვუთათუნებ.

— კი, — ჩემსკენ არც იხედება.  
— რას გეუბნება?

— არაფერს, ვის რა უფლება აქვს, მითხრას, ნუ გიყვარსო!  
— დედაა.

— დედაა და უნდა გამიგოს.

ახლა იელს მივჩერებივარ. იელი ყვითლად ჰყავის ხოლმე. ყვავილობამ დიდი ხანია გაიარა, მაგრამ გვალვისაგან ახლაც გადაყვითლებულია. თუ მალე არ გაწვიმდა, ის ყვითელი ფოთლი შემოახმება. ბუჩქს ვინდა დაეძებს, მე ვინჩრობი სიციხით.

— რაზე ფიქრობ? — ცაცხვს წკირი შეატება ნატომ და მიწას ჩიჩქნის.

— ვფიქრობ რაღაცაზე.  
შუბლშეკრულმა მოშხედა. დიდხანს ხმა არ ამოუღია.

— მაინც რაზე ფიქრობ? — მკითხა ისევე.

— სხვათა შორის, როცა ადამიანს ვუკითხებთ, რაზე ფიქრობო, ზოგჯერ ვაიძულებთ ტყუილი თქვას. ხომ შეიძლება, ახლა რაღაც ცუდს ვფიქრობდე შენზე, როგორ გგონია, სიმართლეს გეტყვი? ტყუილს მივკიბ-მოვკიბავ!

— მართალია.  
— რა თქმა უნდა...

ქვემოთ შადრევანი ჩქეფს. შადრევნის გარშემო, ალბათ, გოგო-ბიჭები დარბიან. ჩრდილს შეფარებული მათი ბებიები კი ხმის ჩახლენამდე ყვირიან, დაისიციხებით.

— არ გესმის, რას გეუბნები? — ნატო წამომდგარა და თავზე დამდგომია.

— მე მითხარი რამე? — ანაცერ მკლავზე ხელს ვკიდებ.

— თუ გასხოვს-მეთქი, გაზონის ყვავილი რომ მომიწყვიტე?

— რა ვიცი, არ მახსენდება.

ჩანთას ხსნის, ლურჯყდიან ბლოკნოტს იღებს და ფურცლავს.

— აი, — გამხმარ მელნისფერ ყვავილს მაჩვენებს, — ეს ყვავილი იყო

— რაც არ მახსენდება, არ მახსენდება. — იდაყვებს ვიწვევ და ისე ჩაგრე-რებივარ ბლოკნოტში.

— საიდან გესმომება, მთვრალი იყავი.

— ალბათ.

— ალბათ კი არა, ასე იყო; ძველ სიღთან რომ პავილიონია, იქ შევე-დიო. შენ სვამდი, მე გიყურებდი, ძალიან მალე დათვერი...

— საერთოდ, მალე შევიდებოდა სასმელს.

— ძალიან მალე დათვერი მაშინ... ქუჩაში გამოვედი და დავინახეთ: იმ პავილიონის პირდაპირ ვიღაც ქალი ყვავილებს რწყავდა. შენ თქვი, ამ ქალმა დედარემი გამახსენა, მგონი, ახლა ეზოში ტრიალებს და ქალაქისკენ უვრებით თვალები აწყდებაო. — უცებ მოიწყინე. მერე ქალს თხოვე — ქალ-ბატონო, ერთი ყვავილი მომიწყვიტეთ. ქალმა გითხრა, შენ თვითონ მოწყვი-ტე, შეილოო; გაჩერდა და ხან შენ გიყურებდა, ხან მე. შენც ადექი და ის ყვავილი მოწყვიტე, რომელსაც მიწვადი და მხოლოდ მოვალეობის გულისთვის მომაწოდე. მერე ქალს მადლობა გადაუხადე და ისე ამოვიარეთ აღმართი, ხმა აღარ ამოვიღია. ბევრი ვეცადე, ვერ კი აგალაპარაკე. იმ დღემ გაიარა და, მგონი, ყვავილიც დაგავიწყდა.

მე შარვლის ჯიბეებს ვიჩხრეკ, ბალახებშიც ვაფათურებ ხელს, თან ნა-ტოს ვუყურებ.

— რას ეძებ? — მეკითხება ნატო.

— სიგარეტს და ასანთი დავდე სადღაც.

— აფერ არის, — სიგარეტის კოლოფს მაწვდის, — როგორ მინდა, პა-ტიროსს არ ეწეოდე, ცოტა მოფერიანდებოდი, — ასანთი გააქრა.

სიგარეტს ვუკიდებ და გრძელ ნაფაზს ვარტყამ...

მზე გორებს იქით ჩაკურდა; შიშველი ხეები ჩრდილში მოექცნენ, ბაღის კიბეები კი ისევ მზეშია.

ნესტის სუნი დატრიალდა. გამაქრყოლა. ასადგომად წამოვიწვიე, მაგრამ ნატომ დამასწრო:

— იწვიე, მე მოგიტან, — წამოდგა, იელის ტოტზე გადაფენილი ხალათი აიღო, დაფერთხა, მიტრიალდა და სიცილით მუხუნება, — შენ დააკერე ეს ღილი? — მარჯვენა სახელის მიჩვენებს.

— მამ რა მექნა, დედარემი ჩამომეყვანა სოფლიდან? — მეც შეცი-ნება.

— დას ვერ მიუტანე?

— ყურადღებას არ მაქცევს, იქნებ ამან მაინც აიძულოს და ცოლი შეირთოს...

ნატო უაზროდ დასჩერებია ბალახს, ხელში შერჩენილ იელის ფოთოლსაც უაზროდ სრებს თითებით. მხრები უჭრის. მე თავს გვერდზე ვაბრუნებ, არ მინდა ვუყურო. თვალს ვხუტავ: ჩამბნულულ სამყაროში თეთრი წერტილები დასრიალებენ; ირგვლივ უსასრულო სივრცეა, არაფრისმოქმედი, გაყი-ნული...

— შენს მეტი სადარდელი არაფერია მაქვს, — ხალათს მოაწორებს ნა-ტო, — დედარემმა მითხრა, ძილშიც გაბოდებსო.

— ოჯახს მოეიდები და საკუთარ თავზე ფიქრის დროც აღარ დაგრ-ჩება.

— ასეთი ნაბიჯის გადასადგმელად ძალა არ მეყოფა, — ნაღვლიანად ელიმება.

— ეეჰ...

— მაგრამ ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. რაკი რწმენა მაქვს, აღარც სი-ცოცხლე მეჩვენება უაზროდ. თანაც მერყეობის ასაკს კაი ხანია გავცდი, ცა-ში საფრენი ფრთებიც უკვე დამემხსრა... ერთი თვეა გავიგე, ცოლს ირთავსო; ბევრი ვითმინე გუშინდლამდე და მაინც გითხარი აღსარება. არ გეგონოს, თითქოს საყოფელზე გულის ასაყრელად გამოგიტყდი; რატომღაც მინდოდა, შენც გცოდნოდა...

ნატო მკერდზე თავს მადებს, მისი კულულები ხასიათგონად მელამუნება.

— ყველა ნაღლი, რაც შეიძლება კაცს ჰქონდეს, ჩემშია თავმოყრილი. ღმერთმა დასწყევლოს, რა მოგვლანდა?

— ნურაფერს ეცდები, თავს მაინც ვერ შემაძლებ, — ახლა ქოჩორს მიჩვენებს.

მე უკანასკნელ სიგარეტს ვუკიდებ და ცარიელ კოლოფს ვანაკუწებ.

ნატო ხელჩანთიდან სიგარეტის გუხსნულ კოლოფს იღებს:

— ვიცოდი, გაითავებოდა და, წამოგიღე... რაც გიცნობ, სავეს კოლოფი არასოდეს გდებია ჯიბეში.

ბაღის კიბესთან პატარა ბიჭი ჩანს, ველოსიპედს წრიულად დააქრო-ლებს.

ბიჭმა შარშანდელი ამბავი გამახსენა:

მაშინაც ამ ბაღში ვიყავით. ერთმა პატარა ბიჭმა კარგად ვერ მოხუმა მანძილი და ველოსიპედიანად სეს შევაკდა, თალართან რომ ხე ჩანს. მივეარდი და წამოვყავნე. მუხლებზე ხელს ისვამდა, შეშინებული მომჩერე-ბოდა. ხომ არაფერი გეტყინა-მეთქი, უნდა შევითხრა და თვითონ დამასწრო: არაფერიც არ მეტყინაო... ხალხი აჩოქოლდა, გვერდზე მივიხედე: ვიღაც დედაბერი წიოკობდა და ვიშვიშით მორბოდა, მერე გავიგე, თურმე ბიჭი ბებია ყოფილა. გამოარღვია ხალხი, შვიდა და, მოფერების ნაცვლად გამე-ტებით შემოპირა სახეში. ბიჭი აღრიალდა. ხელი ჩავიქნიე და მაშინვე გა-ვეცალე, შემეშინდა, ამდენ ხალხში არ შემომელანძლოს-მეთქი. აქა-იქ ნაცნო-ბებს ვხედავდი და უფრო იმათი მომერიდა.

— იოლად გადარჩა — თქვა ნატომ, როცა ისევ სკამზე ჩამოვსხე-დიო.

— პირიქით, ძალიან გამწარდა.

— ხომ თქვა, არაფერი მეტყინაო?

— ბავშვი უკითხავად რომ გეტყვის, არაფერი მეტყინაო, იცოდე, გამ-წარდა.

— კარგია ბავშვები, — თვალები მზით ავესო მაშინ ნატოს, — ვინც მე მიყვარს, თუ მან მითხოვა, ბევრ შვილს ვიყოლიებ.

— უთხარი და წაგიყვანს.

— ერთხელ დავაპირე, მაგრამ ვერ მოვახერხე. საერთოდ, ვერ ვუბედავ თქმას, ცუდად არ გამიგოს-მეთქი.

— მე ვიცნობ იმ ბიჭს?

— კი იცნობ.

— ახლა არ მცალია, მერე შემახსენე, ენახავ და, ალბათ, ხატრს არ გა-მიტყებს, გითხვოს...

— ვაი, როგორ ვერ მიხვდები?! — წამოვკეტი, მუხლებზე დავიწყე ხე-ლები.

— რას ვერ მიხვდი? — ნატოც წამოჟდა.

— რა ვიცი, არაფერს...

ხალათს ვიცვამ, თან ნატოს მივჩერებოვარ, — „განიშნებდი, მაგრამ, ვერ მიხვდიო“. პირდაპირ რომ ეთქვა, მაინც არ დავუკერებდი. შორს ვიხე-დებოდი, აქვე კი ყოფილა, ჩემს გვერდით. ბევრი ვიბორიალე, გადამეტებული სიფრთხილე გამოვიჩინე და იმ ერთი კურდღლისა არ იყოს, ორივე ფეხით კი გავები... ნატო რატომღაც მიუწვდომელი სივრცე მეგონა და თავის მოსა-ტყუებლად არ გამივლია გულში. ძილის წინაც არ მიფიქრია მასზე, ეგებ ტკბილად ჩამეძინოს-მეთქი...

— ხელს როდის აწერთ? — მეკითხება.

— ზეგ.

— კარგი გოგოა?

— რა ვიცი, როგორ გითხრა...

— მეშინია, იქნებ ვერ გაგიგოს. ცხოვრება რომ აგეწეოს, გაიტანაქვები.

— აღარ დავეძებ, რაც იქნება, იქნება.

— გიყვარს?

— თითქოს.

— შინ რომ გეწვიო და გავიცნო, გეწყინება?

— არც გამეხარდება, რომ იცოდე.

— შენ ისეთი არგული ხასიათი გაქვს, ჩემს მეტი ვერაფერს გაგიგებს.

— იმასაც ასე ჰგონია...

მოკლე, დახვეული ბილიკით დაბლა ვეშვებით. ერთი ჩაქანებაც და გზაზე ვართ. ეს გზა ბაღის გასწვრივ, დაბურულ ხეებში მიძვრება და შიშ-ველ ფერდობთან ქალაქის ქუჩას უერთდება. ამ გზაზე ხშირად დავლიოდით მე და ნატო, როცა საზაფხულო კინოში ვაპირებდით შესვლას. მაშინაც ასე ასდიოდა მტვერი, მაშინაც ასე ეგდო აყირავებული ბუდლოხერი, მაშინაც გავიფიქრებდი ხოლმე: „ისე ხომ აღარ ვარგა და აღარ ვარგა, ჯართად მაინც გამიიყენონ-მეთქი“.

გზა ცარიელია: არც ამულელი ჩანს, არც ჩამომვლელი, ყველა ბაღში ჩა-რეფილი. საცაა, თეთრი ბინდი ჩამოწვება.

ნატო ჩერდება და მეც მაჩერებს.





— აბა, გაიხსენე, როდის იყო ნაკადულებზე რომ მიყვებოდით?

— ფეხბურთზე ვიყავით, აი, იქ, — მაღალ ალვისსხეებს ვუყურებ, — ძლიერი ქარი ქროდა და ისეთი ამბავი დატრიალდა მინდორზე, დაეწყვილით სიცილით.

— სხვა დროსაც ასხენე.

— შეიძლება. ძალიან მიყვარს ის ნაკადულები.

— ასე მიყვებოდით: ეკლესია ზედ ტყიანი გორაკის კორტოხზეა წამოჭიმული. თუ ვინმემ ბილიკი არ მიგასწავლა, იმ ეკლესიამდე გზას ვერ გააგნებ, ისეა იქაურობა გადაკეტილი ღიჭის ბარდებით. იმ გორაკის ძირში წყაროები გამოდის, ბალახებში მიიპარებიან. ცოტა ქვემოთ, ოღონდ შესამჩნევი დაქანება იწყება, შემდეგ ფერდობი. ფერდობზე ჯერ მილივლივებენ, მერე კი მიხტანანაკადულები, — ხევისკენ ეშვებიან, თეთრ შხეფებს ისერიან და... პატარა ცისარტყელები ერთმანეთში იბლანდებიან. როცა ქალაქიდან ჩემი ძმაკაცი ჩამოვიდოდა ხოლმე, მეორე დღესვე ტყეში მივიდიოდი. ავდიოდი ეკლესიაში, საკუთხეველზე დადებულ მოფერცხლილ ხატს. დავხედავდი, ღვთისმშობლის ფრესკას შეფანათებლით თვალებს, გავრინდებოდი, წარსულის მდუმარებაში ვიძირებოდი. გვენანებოდა ეზოში მიმოფანტული, უპატრონოდ მიტოვებული ქვევრები. გვენანებოდა ბალახმოღებუი ბილიკი, რომელსაც საცა უმეზავრობა წაშლიდა. თავივე მიყვებოდით ბილიკს და იმ კუთხემომწვარ მანეთიანზე ვფიქრობდით, ოცდაათიოდე წლის წინათ უკანასკნელად მლოცველს რომ შეეწირა.

თავივე მიყვებოდით ბილიკს და იქამდე ვდუმდით, ვიდრე ნაკადულების ხმაური არ მოგვედებოდა... მერე ვსხდებოდი აშრილებულ ნაკადულებთან და გავყურებდი მზეში გადაშლილ სოფელს. სშირად მინატრია: მყოლოდა მოსიყვარულე ცოლი, პატარა, დამჯერე შეილები და ვმსხდარიყავით აქ, ამ ადგილსა და ჩემს სოფელს შუა. ...აი, ასე მიყვებოდი, ასე დამიხატე...

— ჰო, დაგისხატავდი. მეტი რა საქმე მაქვს, არა?

— მომგალა შენმა ეჭვიანობამ და მაინც არაფერზე გემდური. როცა წყალს ვხედავ, შენი სოფლის ნაკადულები მელანდება, შენ მელანდები, ის შენი ძმაკაციც, რომელსაც არ ვიცნობ. როგორ მინდოდა, მეც მენახა, მეც დამეჭირა ვერცხლის შხეფები... არასოდეს მინატრია სიმდიდრე, არც იმაზე მიფიქრია, ერთ დროს სახელგანთქმული ვინმე ვიყო-მეთქი... აი, ერთი რამ ვინატრე, ერთხელ ამეხილა თვალი და მაშინაც სანანებელი გამიხდა.

— ძალიან დაგვიანებულა...

— მაგას არავინ გეკითხება... ვერც ამას დამიშლი... ისე კი ვიტყვი, ბედნიერი გოგო ყოფილა, თუ შენი ფასი იცის. თუმცა, შენც არ იცი შენი ფასი; რომ იცოდე, ასეთ უთვისტომო, გადაგვარებულ ხალხთან არ იმეგობრებდი. ისინი საკუთარ თავსაც დასცინიან, ყველაფერი უაზრობა ჰგონიათ. ტვინის ქცელტა, ბოდილი; დაკარგული დღეები დაკარგულ კაპიკიანად მიიჩნიათ... მე რომ ვიყო, ყველაფერს გაპატიებდი, ღალატსაც კი, ოღონდ დრო და საკუთარი სიცოცხლე არ გაგენადგურებინა... აქამდე შენთან სიარულის უფლება მაინც მქონდა, ახლა ესეც დაგვარგე.

— ადრე რომ გცოდნოდა...

ბაღში შევიდით. ღამაზად ხმაურობს ბაღი. ნატო მხარზე მადებს მხარს და ისე მომყვება. ვერჩურჩულები:

— უხერხულია, ნაცნობი არავინ შეგხვდეს.

— ვინც უნდა შემხვდეს! — ხმაშლია ამბობს, — ჩემთვის სულ ერთია! როგორც მე მინდა, ისე უნდა ვიარო, ისე უნდა ვიცხოვრო... თუ მოვახერხე!

— ელიმება.

საათს დაგჩერებივარ, მგონი, მაგვიანდება.

— ძალიან გეჩქარება? — თვალბში მიყურებს.

— არც ისე.

„ნეტა გუშინდელი კაბა არ ეცვას, ვერ ვიტან ყვითელს, ამ სიღამეჭკნრის ფერს... აქამდე უნდა მენახა, ბიძამისთან ვიყავით წასასვლელი.“

— კარგად ჩაიტანიე ხოლმე ხალათი, — ისევ მაჩერებს ნატო, — ვილაცას ხულიგანი ვიცი.

— ახლა ხულიგნებს სხვაზე უკეთ აცვიათ.

— ეგეც კია.

ბაღის გრძელი კიბე ავათავეთ. ნაბიჯი შევანულეთ. გზას გავცქერი.

— ტროლებიუსში ჩავსხდეთ? — ნატო ხელმოჩრდილვით გაპყურებს გზას.

მის ფერმკრთალ სახეს თვალს ვარიდებ. ერთ ხანს მინავლულ დღეებში ვიხედები, ვტრიალებ, ბრმასავით ვაწყდები კედლებს, ხეებს, ადამიანებს, მანქანებს, საკუთარ თავს და აღარ ვიცი, მერამდენე სიგარეტს ვუკიდებ...

— რა დაგემართა? — მანჯღრევს ნატო, — მეოთხე ტროლებიუსი ჩამოვდა.

— ჰოო, — აქეთ-იქით ვიხედები.

— არ ჩავსხდეთ?

— ფეხით გავუყვით ცოტახე.



თბილისის გაზის აპარატურის ქარხანა 544 კაცის სახელით გვემის ზევით 1.000 ცალ გაზის ქურას ამზადებს, 100 ცალ — წყლის გამცხელებელს, წლიურ გეგმას, რა თქმა უნდა, ვადაზე ადრე შეასრულებს, გაზრდის შრომის ნაყოფიერებას, მიადრწევს ათასობით მანეთის ეკონომიას, პროდუქციის რეალიზაციით უზრუნველყოფს მალალ მოგებას.

კარგი საჩუქარია!

მაგრამ მთავარი მარტო საჩუქარი როდია. მთავარი ის არის, რომ ეს ადამიანები კარგად იყვანენ, ცხოვრობდნენ ბედნიერად, უსაროდეთ შრომა. ქარხანაში ბევრი კარგი ქალი მუშაობს. ფეხს შეაღდამ თუ არა მის ტერიტორიაზე, სტენდიდან ჭკვიანი ბავშვები შემოგხედავენ, ისინი აქაური მუშების ფრიადოსანი შვილები არიან. ეს ჩვენი ქვეყნის იმედია!

მეორე სტენდი ქარხნის რაციონალიზატორებს ეთმობა. ესენი რომ არა, ვერ მიადრწევდნენ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, ახალი სახის პროდუქციის გამოშვებას!

50 წლის მანძილზე მოხდა ცვლილება მუშის შეგნებაში. მუშა ახლა თავის შრომას საპატიო და ღირსეულ საქმედ მიიჩნევს. აი, როგორ თანდათან იშლება ზღვარი ფიზიკურსა და გონებრივ შრომას შორის. ეამაყება ელექტროშემდუღებელთან დგომა საწნეხი სამუქროს მოწინავე მუშას, თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატს ელენე ახალკაციშვილს.





# საჩუქარი იუბილეუს

ყოველთვის, როცა დაბადების დღეზე მიდიხარ, ცდილობ მიიტანო ისეთი საჩუქარი, როგორიც იუბილარს გაეხარდება.

ნოემბერში ჩვენი სოციალისტური სამშობლოს დაბადების დღეა. ბევრი, ძალიან ბევრი მომლო-

ცველი ეყოლება 50 წლის ქვეყანას. მისმა შვილებმა იფიქრეს, რითი გაეხარებინათ მშობლის გული. რა თქმა უნდა, ყველაზე ძვირფასი ის იქნება, რასაც თავიანთი ხელით შექმნიან.

საჩუქრების მზადება კარგა ხანია დაიწყო!



ფოტო ზ. იაკობაშვილის

საოჯახო ნივთები — ქვაბები და კასრები, ურომლისოდაც დიასახლისები ვერაფერს გააკეთებენ, ელენეს შედუღებულია. დღეში რომ 600 ქვაბმა ან 1000 კასრმა არ გაიაროს მის ხელში, ის დღე წარუმატებლად მიაჩნია (სურათი № 1).

აქედან გასული ნაწარმი მომწამველ უბანზე ხვდება, აქ მას მარილმკვავას საშუალებით შორდება ცხიმი, იწამლება, სუფთავდება, შრება. ცვლის თტატი კრიპილდა შილაკაძე მთელი დღე მუშებთანაა. შესვენებაზე მათ უყვართ გასეირნება ქარხნის ეზოში (სურათი № 2)


მომინანქრების საამქროს 850-გრადუსიან ღუმელში სხვადასხვა დეტალების გამოწვა ხდება. საოცარი სანახავია ალაპლაპებული ღუმელი, როცა კარი იღება და გამოიწვარი დეტალები გამოდის.

მზა პროდუქციას სიამოვნებით ულოცავენ გზას მომინანქრების საამქროს უფროსი ლუდა კიკალეიშვილი, საწარმოო განყოფილების უფროსის მოადგილე ცილა ნინიძე, მომინანქრების საამქროს უფროსის მოადგილე დონარა დოლიძე (სურათი № 3).

ფართო მოხმარების საამქრო ახალია. აქ მასალების ნარჩენებისაგან ამზადებენ სხვადასხვა მოხმარების საგნებს. სიყვარულს აქსოვს გულო ლომსაძე სამკერდე ნიშნების დამზადებაში. ამ ნიშნებს მალე კომუნისტური შრომის დამკვერულები დაიბნევენ მკერდზე (სურათი № 4).

ქარხნის მთავარ ინჟინერს ენერგიული თანაშემწე ჰყავს, მერი ჩინიაშვილი. იგი რაციონალიზაციისა და უსაფრთხოების ტექნიკის საკითხებზე მუშაობს (სურათი № 5).

ერთი სიახლე გვინდა გავუმყდავნოთ დიასახლისებს — ქარხნის ტექნიკური განყოფილება ახალი გაზის ქურების შექმნაზე ჰუშაობს (სურათი № 4). მოხერხებული, ლამაზი, გაუმჯობესებული გაზის ქურები თბილისის გაზის აპარატურის ქარხნის მარკით გაიგზავნება რესპუბლიკის რაიონებში.



# ვერაონილი



მაღალი გოგო ზღვის პირას იდგა, შუბლზე ხელი მოეჩრდილა და უღრუბლო ცას გასცქეროდა. ბათუმის მხრიდან თვითმფრინავი გამოჩნდა, მა-ხინჯაურიდან ხმელეთისაკენ იცვალა გეზი და ისე დაბლა დაეშვა, რომ მისმა ჩრდილმა გოგოს გადაუქროლა. მან ხელები აიჭნია და ყოინით მო-ტორების გრუსუნიც კი დაჰფარა. გოგო თვით-მფრინავის ჩრდილს დაედევნა. თუმცა ვერ დაე-წია, მაგრამ ცას მაინც მანამდე უყურა, სანამ თვითმფრინავი მწვანე კონცხს არ მიეფარა. იცოდა გოგომ, თვითმფრინავს მისი მეზობელი ფადიკო გოგიტიძე რომ მართავდა.

მახინჯაურელი ქალიშვილი ფადიკო ომერიძე თავისი სეხნისი — პირველი აჭარელი მფრინავი ქალის ფადიკო გოგიტიძის კვალს გაჰყვა, ერთ წე-ლიწადში გაიარა ორი წლის კურსი და ფოლადის ფრთებით მანაც გადაუარა მშობლიურ ზღვას, მთებსა და ველებს.

ომი რომ დაიწყო, ფადიკო ბრძოლაში ჩაბმას ჩქარობდა, მათი საავიაციო ნაწილი კი ზურგში იდგა და მფრინავები კვლავ წრთავს გადიოდნენ. ერთ დღეს ომერიძე მეთაურთან იხმეს.

— აი, ეს არის, — უთხრა მეთაურმა ვიღაც უცნობს, რომელიც ცნობისმოყვარეობით ათვლი-ერებდა ქალიშვილს, — თურქული და თათრული ენები იცი. როგორც მფრინავი, მამაკაცებს არ ჩამოუვარდება.

— ძალზე ახალგაზრდა ყოფილა, — თქვა უც-ნობმა. — თუმცა ეს იქნებ უკეთესიყა. დავალემა მეტად საპასუხისმგებლა და რთული.

...1942 წლის სამ იანვარს დამით აეროდრომი-დან აფრინდა ოთხმოტორიანი თვითმფრინავი და გეზი ყირიმის ნახევარკუნძულისაკენ აიღო. ეკიპაჟს გარდა თვითმფრინავში ორი მგზავრი იყო — ფა-დიკო ომერიძე და „ბიამისი“ ალი ეტიმ-ოღლი. ისინი პარაშუტებით უნდა დაშვებულყენენ მტრის ზურგში, თავი გაესაღებინათ ადგილობრივ მცხოფ-რებლებად და სარდლობისათვის საიდუმლო შიფ-რით გადმოეცათ ცნობები ყირიმის ნახევარკუნ-ძულზე ფაშისტთა ნაწილების დისლოკაციის შესა-ხებ.

შექმნილი მდგომარეობის გამო გათვალისწინე-ბულ რაიონში დაშვება არ მოხერხდა. მაინც გა-დახტნენ, მაგრამ ქარმა შორს გაიტაცა პარაშუტე-ბი. პირველსავე სოფელში რუმინელთა პატრულს შეეფეთნენ. თათრული ენის ცოდნამ და საიმედო საბუთებმა კარგად გაჭრა. მაგრამ საჭირო იყო იქიდან გაცლა. ფაშისტები უკვე ეძებდნენ პარა-შუტისტებს და ტყეში მიმალული რაციის წამო-ღებაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა. სამი დღე-და-

მე მიაბიჯებდნენ ტყე-ტყე. მხოლოდ დამით გამო-დიოდნენ გზაზე, მიტოვებული სახლის სხვენზე ან საბძელში ათევდნენ დამე.

მიადგნენ ხალხმრავალ სოფელ ოიგენფლიუგს. აქ თავი მოეყარათ ლტოვილებს. ფადიკო და ალი მათში გაერივნენ. მაგრამ დიდხანს დარჩენა მა-ინც არ შეიძლებოდა. გადაწყვიტეს, პარტიზანებს დაკავშირებოდნენ და ფრონტის ხაზი გადაეჭრათ, რომ ნაწილში დაბრუნებულიყვნენ. ეს არც თუ ისე ადვილი იყო. უმოქმედოდ ყოფნა კი მაინც არ ივარგებდა. ისინი დაუახლოვდნენ ადგილობ-რივ მცხოვრებს, კომუნისტ ივანე დიაჩკოს. ივანე რომ დარწმუნდა, ვისთანაც ჰქონდა საქმე — „ბი-და-ძმისწულს“ ურჩია:

— ფრონტის ხაზის გადალახვას შეიძლება შე-ეწიროთ კიდევ. საქმე და საბრძოლველი აქაცაა. თუ დარჩებით, მე დაგაკავშირებთ ამხანაგებთან.

ასე გახდა ფადიკო იატაკვეშელთა მეკავშირე. ყირიმის ტყეებში, გზებზე, სოფლებში დადიოდა მაღალი, გამხდარი ქალიშვილი საოჯახო ჩანთით ხელში. მისი თვალები ხედავდა, ხოლო გონება იმახლოვებდა ყველაფერს, რაც გამოდგებოდა „დიდ მიწაზე“ გადასაცემად. ივანე დიაჩკოვის სახლში მზადდებოდა ხელყუმბარები, საბუთები ხელნაწერი საინფორმაციო ცნობები, ყველაფერი ეს შემდეგ იგზავნებოდა პარტიზანებთან, ახლო-მასლო სოფლებში.

როცა ფადიკო დავალებით სიმფეროპოლში იმ-ყოფებოდა, მოულოდნელად ფაშისტებმა ბაზარს ალყა შემოარტყეს და ხალხი დახურულ მანქანებ-ში შეერყეს, მათ შორის იყო ფადიკო. მანქანები დიდხანს მიდიოდნენ მიხვეულ-მოხვეული გზებით. სევასტოპოლში სატვირთო მანქანები ელოდათ. ეშელონი დაიძრა გაურკვეველი მიმართულებით.

1943 წლის ოც მაისს საბჭოთა ადამიანებით სასე მატარებელი ბერლინის სადგურზე ჩამოდგა. ხანმოკლე დაკითხვის შემდეგ შეუდგნენ გერმა-ნელთა ოჯახებში ტყვეების დანაწილებას.

როცა ფადიკოს ჰკითხეს ვინაობა, მას დედის გვარი მოაგონდა:

— ხაბურზანია... ალექსანდრა ხაბურზანია. მე-დიცინის და.

ამერიდან ყველასათვის იგი ალექსანდრად, შურად გადაიქცა. ამ სახელით და მედიცინის დის პროფესიით მივიდა იგი კურფურტისაკენ მდებარე სახლში, სადაც ცხოვრობდა მარტონელა ექიმი ქალი ფრაუ შილო. ექიმი მეტწილად დროს კლინიკაში ატარებდა და ბინის მილაგების შემდეგ შურა მალულად მიუჯდებოდა რადიომიმღებს,

ხარბად უსმენდა მოსკოვის კურანტებს. სამშობლო-დან მოწვენილი ხმა სიმხნევესა და იმედს მა-ტებდა. საინფორმაციო ცნობა როცა საბჭოთა ჯარების წინსვლაზე იტყობინებოდა, იმ დღეს თვალები სისხარულით უციმციმებდა და ფრაუ ში-ლო გაკვირვებით შესცქეროდა შინამოსამსახურეს.

მართალია, ფრონტი შორს იყო, მაგრამ მტრის ბუნავში შეიძლებოდა სამშობლოსათვის სარგებ-ლობის მოტანა, თუნდაც რადიოთი მიღებული ცნობების გავრცელება. გერმანელები მაღავდნენ ფრონტზე შექმნილ მდგომარეობას. საჭირო იყო მართალი სიტყვა. პირველ რიგში კი იმათთვის. ვინც შურასავით მოწვევლეს სამშობლოს და რე-მელთა გადაბირებასაც ცდილობდნენ გერმანელები გამცემი გენერლის ვლასოვის არმიამი. შურა პირ-ველად გერმანელთა ოჯახებში შინამოსამსახურედ-მყოფ რუს ქალიშვილებს გამოელაპარაკა, ომის ნამდვილი ამბები მოუთხრო, შემდეგ შანდაუა სამხედრო ტყვეთა ბანაკს დაუკავშირდა, სადაც გაიცნო მიხეილ შევიაკოვი, ივანე პოლტინიკოვი, ალექსი კუტიბაშვილი, ვასილ ივანოვი და ახალი სასიხარულო ცნობებით ამხნევებდა მათ.

ბერლინის გარეუბანში, დაბენდორფში ჰიტ-ლერელთა სკოლა იყო, რომელიც ვლასოვის არმი-ისათვის ამზადებდა პროპაგანდისტებს. შურამ იქაც გამოახა სახლო ადამიანი — ივანე ბორცი, რომლის დახმარებითაც მისი სამოქმედო არე კი-დეგ უფრო გაფართოვდა. გერმანელებს შურა მე-დიცინის დად მიარჩნდა და იგი შანდაუა ტრაფე-ანთა ბარაკებში ვაგზავნეს სამუშაოდ. იქ იმყო-ფებოდნენ სხვადასხვა ეროვნების პოლიტიკური პატიმრები. შურა ცდილობდა ყოველნაირად შეემ-სუბუქებინა სასიკვდილოდ განწირული ადამიანე-ბის მდგომარეობა. მაგრამ საჭირო იყო სიფრთხი-ლე. ჰიტლერელები დაუნდობლად უსწორდებოდ-ნენ იატაკვეშელებს. თვით გერმანელებთან კავ-შირის გარეშე ძნელი იყო მუშაობის გაშლა. გა-მოჩნდა ასეთი კაცები — კომუნისტი ერვინ კლიუ-გე-ოგი, როგორც შემდეგ გამოირკვა, დიდხანს უთვალთვალებდა შურას. ბოლოს გაენდო მას და არალეგალურ ანტიფაშისტურ ორგანიზაციას დაუ-კავშირა. შურა აფერხებდა გამოჯანსაღებულე პატიმრების გაწერას. კლიუგე მას ახლევდა სპეცი-ალურ თერმომეტრებს, რომლებიც მაღალ ტემპე-რატურას უჩვენებდა. მაგრამ გამოჯანსაღებულები დიდხანს მაინც ვერ რჩებოდნენ ბარაკებში. მით უფრო, რომ მათ წყუროდათ ბრძოლა. ერთ-ერთი საპაერო თავდასხმის დროს, როცა სამედიცინო პერსონალმაც და დაცვამაც თავშესაფარს მიაშუ-

რეს, შურამ შეუმჩნევლად გადასცა ტანსაცმელი ორ საბჭოთა ტყვეს. ისინი ღამის სიბნელეში მიმალნენ.

მალე შურა და ერვინ კლიუგეს ჯგუფი დაუკავშირდა წინააღმდეგობის არალეგალურ ორგანიზაციას, რომელსაც ტყვედ ჩაგარდნილი საბჭოთა არმიის მაიორი ვარლამ გაბუნია (საბაშვილი) ხელმძღვანელობდა. იატაკქვეშურმა მუშაობამ კიდევ უფრო ფართო ხასიათი მიიღო. შურას დანიშნულებებისამებრ გადააქონდა იარაღი, ავრცელებდა ანტიფაშისტურ ფურცლებს, ერთმანეთთან აკავშირებდა წინააღმდეგობის ჯგუფებს.

მოულოდნელმა შემთხვევამ შეწყვიტა შურას საქმიანობა. 1944 წლის ექვს აგვისტოს, როცა მას ველოსიპედით მიჰქონდა სააგიტაციო ფურცლები, მანქანა დაეჭაბა. საშინელმა ტყვიელმა გონება დაუბნელა, მაგრამ ის კი მოისაზრა, რომ საჭირო იყო იქაურობის მიტოვება. არაადამიანური ტანჯვით მიაღწია კლიუგეს სახლამდე და ჭიშკართან გონება დაჰკარგა.

მან მიიღო ტყინის შერყევა, თავის ქალის გაბზარვა და მარცხენა ხელის მოტეხილობა. ამხანაგებმა საავადმყოფოში მოათავსეს. ოთხი თვით მიუეჯახებო იგი საწოლს. გამოჯანმრთელების შემდეგ კი კვლავ ჩაება არალეგალურ მუშაობაში.

...1945 წლის მაისი. საბჭოთა არმია ბერლინის მისადგომებთანაა. პიტლერელები თავიანთი არსებობის უკანასკნელ დღეებს ითვლიან, მაგრამ იბრძვიან გააფთრებით. შურა და მისი თანამებრძოლები დღედაღამე დარაჯობენ საჭურვლისა და პროდუქტების საწყობებთან, ხილებთან, რომ ისინი აფეთქებას გადაარჩინონ, ხელი შეუწყონ საბჭოთა ნაწილების შეუფერხებელ წინსვლას.

როცა ბერლინის ქუჩებში ევროპის განმათავისუფლებელი არმია შევიდა, სხვებთან ერთად მას აღტაცებით შეეგება ფადიკო ომერიძე, მასინჯაურელი ქალიშვილი, რომელიც ომის უკუღმართობამ მტრის ზურგში გადაასროლა, მაგრამ იქაც, ძალიან რთულ ვითარებაში, შეძლო მოეხადა ვალი სამშობლოს წინაშე.

ომის დამთავრების შემდეგ შურა ომერიძე სამშობლოში დაბრუნდა. იგი ბათუმში ცხოვრობს და სამსახურში „შურას“ ეძახიან. ეს სახელი დაიტოვა იმ დაუვიწყარ დღეთა მოსაგონებლად.

დიდხანს ეძებდნენ ურთიერთს ბერლინელი იატაკქვეშელები. ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების ოცი წლისთავის ზეიმის დღეებში ისინი ერთმანეთს შეხვდნენ. იმ ხანებში ომერიძეს გადაეცა სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენი. ბერლინის წინააღმდეგობის მონაწილეებს დღესაც მიწერ-მოწერა აქვთ ერთმანეთთან. ამჟამად ალექსი კუტიბაშვილი სიღნაღში მუშაობს. ვარლამ გაბუნია პენსიონერია და თბილისში ცხოვრობს.

შურას „ბიძა“ ალი ეტიმ-ოღლი ომის დამთავრებამდე ყირიმში დარჩა და ახლა შორეულ ვოლუსკშია. ქალაქ ივანოვოდან მოვიდა მიხეილ შევიაკოვის წერილი. ერვინ კლიუგემ ბერლინიდან მოულოცა შურას პირველი შაისის დღესასწაული და გამარჯვების დღე — ცხრა მაისი. ზოგიერთის ბედი კი დღემდე გაურკვეველია, მაგრამ შურა იმედს არ ჰკარგავს, რომ ადრე თუ გვიან, მათ გზა-კვალსაც მიაგნებს.

ალექსანდრე ჩხანიძე

## ზ. შირაზალიშვილი

### კვირის სიხე

გენაცვალე, კვირას ციხე,  
კვირის შუქზე ნაშენებო,  
ღრუბლის ჩალიჩს წელზე იხევე,  
არემარეს ამშვენებო.

ეს მთები და ეს გორები  
გრძნობენ, მკაცრო, უკარებო,  
ავის თვალს რომ ეგონები  
უსარკმლო და უკარებო.

არასოდეს გაყდილო,  
შეუვალო, ჩინჩხლიანო,  
დროთა ბნელში გაკიდილო,  
კრიხულამ რომ იჩხრიალოს.

მაგ შენს ჭარმაგ საძირკვლებზე  
გვიედრები მაკაცინო,  
თუ ოდესმე აგვილებენ,  
კვლავ ისარი მატყორცინო.

კვირას ციხე, გვირანო,  
შოთასავით წასაკითხო,  
შუქიანო, კვირანო,  
როგორ გავძლო, არა გკითხო

ვინ გაშენა, გეღა ახლოს,  
ელა გული ამხელაო?  
ჩემო ციხე, ჩემო სახლო,  
დეკაციების ნახელავო!

### წომა ზაზაძემ

#### უჩაღი ნიხა

ხე ღვას და სუნთქავს კაცივით შიშიმდ,  
რტოები ცას და სასკმელს ადებენ,  
და გაზაფხულის მშვენიერ წვიმებს  
ატმის ყვავილით აჩრადნებენ.

წვიმაში რაღაც შორეულს სძინავს,  
მოგვავს ფიქრსა და საყვარელ ლოდინს,  
ზღვაში თავს იხრჩობს ფერადი წვიმა  
და მერე ისევ ღრუბლებად მოდის!

## საშემოღობო

მოვჩით მარაში დღე-ღამე ჩალიჩსაც,  
მამამ ქვევრები უკვე დაგონა,  
ხეებზე ვკიდებთ კონებს ჩალიჩსაც,  
წიქარებისთვის გამოსაზოგად.

თვლემენ ხეები, თბილად ჩაცმულნი.  
ეზოს ქოლგები, დაკეცილები,  
მთამ დასძრა ზამთრის თეთრი მაცნენი,  
რომ არ სჭირდებოთ გზატკეცილები.

სახურაებზე აწიზობს რთვილი,  
ახლით ივსება შეშა შრანდელი,  
ღრომდე გვიწვია ამინდი გრილი,  
მიმოდის უცხოვდ, როგორც შარდენი.

აკითხავს ყველგან როგორც კასტელი,  
საშემოღობოს ავსებს ალბომებს,  
წითელ-ყვითელი ფოთლის დასტები  
შრიალ-შრიალა ზღაპრებს ამბობენ.

ქარს მინდობილი სადღაც მიჰქრია  
წეროებივით ცაში წასულნი,  
მათ ადევნებენ თვალებს, ფიქრისან,  
ასე გაფრენის მწაღნი ასულნი.



კვირას ციხე. გრაფიურა ლ. შენგელიასი.

### ელდარ კარაშაძე

#### გიორგი დონიძე

ყველაფრისათვის თითქოს გეცალა,  
იყავი ნაწი და ქედუხრელიც.  
შენს მოვალეთა შორის მეცა ვარ,  
მეც დამარჩა ვალი გადაუხდელი.  
ქართველი იყავ და არაფერი  
შენს ში არ იყო არაქართული,  
სიტყვის ხმალივით მუდამ აღერილს  
იქნედი ლაღად და შემართული.  
გქონდა ქართული შნო და გახედვა,  
ლონიერ სიტყვის იყავ გამთელი.  
ზოგიერთივით როდი დახერდი,  
ბოლომდე გქონდა ლექსი სათქმელი.  
ყველაფრისათვის თითქოს გეცალა,  
იყავი ნაწი და ქედუხრელიც,  
შენს მოვალეთა შორის მეცა ვარ,  
მეც დამარჩა ვალი გადაუხდელი!



# შეცხაუნაჲ თაჲს ჯო

ზარის ხმა უკვე მიწყდა, მაგრამ საკლასო ოთახში ჩოჩქოლი მაინც არ ცხრებოდა. პატარები ადგილზე ვერ ისვენებდნენ. ხუმრობა ხომ არ იყო, დღეს ისინი ორი დიდმნიშვნელოვანი მოვლენის წინაშე იდგნენ, ჯერ ერთი, ახალი საგნის — ინგლისური ენის სწავლას იწყებდნენ და, მეორეც, ახალ მასწავლებელს უნდა გასცნობოდნენ. მასწავლებელი კი თითქოს ჯიბრზე იგვიანებდა. მერე დერეფანში მსუბუქი ნაბიჯების ხმა გაისმა. ბავშვები მაშინვე მიხვდნენ, რომ ის „უცხო“ ფეხის ხმა იყო. კლასი გაინაბა. ხმა მოახლოვდა, კართან ერთი წამით შე-

წყდა. კლასი გარინდული უსმენდა, როგორ მიუახლოვდა ეს ხმა მაგიდას და მერე სიჩუმეში გაისმა დაბალი, ოდნავ მოგუდული ხმა მასწავლებლისა:

— გამარჯობათ, ბავშვებო!  
კლასმა თავისუფლად ამოისუნთქა. მასწავლებლის ხმაში იყო მათთვის რაღაც ახლობელი, ძვირფასი. ბავშვები ვერ შედავდნენ მასწავლებელს, მაგრამ გრძნობდნენ, რომ ის აუცილებლად ლამაზი უნდა ყოფილიყო.

ვერც ის შედავდა მათ, მაგრამ გრძნობდა ამ პატარა გოგონებისა და ბიჭუნების ყურადღებას. ბავშვებს დაბ-

ლა დაეხარათ ჩინდაკარგული თვალები და ხარბად ყლაპავდნენ მის ყოველ სიტყვას. დელავდა, მაგრამ არ იმჩნევდა, ყოველნაირად ცდილობდა ხმისთვის სიმტკიცე მიეცა. ეს ხომ მისი პირველი გაკვეთილი იყო.

წუთები სწრაფად მისდევდნენ ერთმანეთს და როცა თითქოს სრულიად უდაგილოდ და უსიამოვნოდ გაისმა ზარის ხმა, პირველი გაკვეთილის ასე სწრაფად დამთავრება ერთნაირად ეწყინათ მასაც და ბავშვებსაც.

სამასწავლებლოში თითქმის ყველა პედგოგს მოეყარა თავი. ყველა მღელვარებით ელოდა მისი პირველი გაკვეთილის შედეგს. ისინი ყველანი მისი ყოფილი მასწავლებლები იყვნენ. ლეილა ბირკაძე სულ რაღაც ხუთი წლის წინ თვითონ იყო მათი მოსწავლე. 1964 წელს მან წარჩინებით დაამთავრა თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტი, მიიღო პირველი ხარისხის დიპლომი და მიენიჭა გერმანული და ინგლისური ენის მასწავლებლის კვალიფიკაცია.

ახლა უკვე საკმაო გამოცდილება მიიღო ლეილამ. მისი ყოფილი მასწავლებლები მიხეილ მანტკაგა, ანეტა ხუციშვილი, მერი ჯაბრიალოვა, სიმონ თანდაშილი კვლავ მხარში უდგანან. გაკვეთილების შემდეგ იგი გვიანობამდე რჩება სკოლაში და აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეებს ამეცადინებს. განსაკუთრებით უშანგი სამხარაძეს, ვალერი გიგაურს, ახმედ ბუდაგოვსა და კიდევ რამდენიმე „ემშაკის ფეხს“ ჩაუკდება ხოლმე, ამეორებიანებს განვლილ მასალას, ახალ გაკვეთილს ამზადებინებს.

ლეილა არ კმაყოფილდება მიღწეულით, კვლავ სწავლაზე ფიქრობს. შარშან თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში ჩააბარა გამოცდები რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის განყოფილებაზე და ახლა წარჩინებული სტუდენტია. გაიარა საწერ მანქანაზე ბეჭდვის კურსებიც.


...მასთან სტუმრად ვიყავი, ვისხენებთ სკოლის წლებს, ამხანაგებს, რომლებიც ჩვენთან ერთად სწავლობდნენ. შეუმჩნევლად გავიდა დრო. ლეილა საათის ისრებს ხელით შეეხო და მოკრძალებით თქვა:

— მაპატიე, გიგო, უკვე პირველი საათია, ბავშვები მელოდებიან სკოლაში!

— დღეს ხომ კვირაა?! — გაკვირვებით შევეკითხე.

— კვირაობით მეთექვსმეტეობით ვმეცადინებო. ისინი ხომ წელს ამთავრებენ.

ერთად გამოვდივართ. იგი უსინათლო ბავშვთა სკოლა-ინტერნატისაკენ მიიჩქარის. მე კი ნელნელა მივყვები ქუჩას და ვფიქრობ: ადამიანი ყველაფერს გააკეთებს, თუ მოინდომა!



ერთაწმინდის კუთხე

# მხატვრის საგზააღი

გელათი



...მხატვარი ხედავს და ქმნის, თვალდახუ-  
ჭულიც ქმნის. მთელ ციკლს: ერთაწმინ-  
დული...

ეს ციკლი მეტად მდიდარია ფერთა შე-  
ხამებით, კომპოზიციითა და ჩანაფიქრით:  
„ერთაწმინდის პანორამა“, „ჩემი სოფლის  
დილა“, „წმინდა ესტატი“, „სამრეკლო“, შე-  
მოღამება ერთაწმინდაში“, „ქართლის მო-  
ტივი“, „უბანი ერთაწმინდაში“, „სოფლის  
გზა“...

ამ გზას ხშირად გამოუცილებია მხატვარი  
ქალი თბილისს, ბევრჯერ დახვედრია და ბავ-  
შვობის ადგილებისკენ, პაპისეული ნაღარბა-  
ზევისაკენ. ცივი წყაროსაკენ, ძველი ტაძრი-  
საკენ გაძლოლია მას.

ამ გზას სხვაც ბევრი გადაეკლო ჩვენში  
თუ საზღვარგარეთ; და ყოველთვის მხატვ-  
რის უღვწევი საგზაალო საქართველოს სიყვარ-  
ული, ფერები, ტილო და დიდი სურვი-  
ლი — ასახოს ყოველივე, რაც ააღვლევებს  
ამ ნაცნობ თუ უცნობ, ახლო თუ შორ  
ღზებზე.

საქართველოს სსრ დამსახურებულმა  
მხატვარმა რუსუდან ჯავრიშვილმა მიადწია  
ამას ქართლის ფერადოვნებით გამდიდრე-  
ბულმა მხატვრის თვალმა ალაზნის ველის  
დიდებულება და თავისებურებაც შეიგრძნო  
და კლდოვანი ხევსურეთის პოეტურობაც;  
რაჭა-იმერეთის მოჩუქურთმებული ბუნებაც  
გადაგვიშალა და მწვანე გურიაშიც მიაგნო  
მრავალფეროვნებას.

ყოველ ფერს თავისებური ძალა და ეშრი  
აქვს, თავისებური ენა და ნიუანსები. ეს ენა  
კარგად ესმის რუსუდან ჯავრიშვილს.


ახე ფერებში აამეტყუელო მხატვარმა ბორ-  
ჯომის ხეობა და პეტრიწონის მონასტერა,  
ხევსურული ბაზრობა და ბაზრობა პლოვ-  
დივში, ბახჩისარაის სასახლის მინარეთები  
და პრადის რატუშა, რაქის შემოდგომა და  
ოსლოს ქუჩა, თბილისისა და ქუთაისის უბ-  
ნები და სტოკჰოლმისა და გეტებორგის მი-  
დამოები.

ფერმწერი ქალის ნამუშევრებს საზოგადო-  
დობა დროდადრო ეცნობოდა საერთო გა-  
მოფენებზე. მაგრამ მთელი თავისი მდიდა-  
რი შემოქმედებითი სულით მაშინ შევიცა-  
ნით, როდესაც ერთბაშად, ლექსებივით გა-  
დმოკითხეთ მისი ნაშრომი და ნაღვაწი. ეს  
მოხდა 1964 წელს, პირველ პერსონალურ  
გამოფენაზე.


ყოველი ტილო უხმოდ გვიამბობდა ავ-  
ტორის თავდადებულ შრომაზე, კეთილშო-  
ბილურ ფიქრებსა და მისწრაფებებზე, თავისთავადობაზე. და ყველაზე გასაოცარი ის  
იყო, რომ ნამუშევართა უმეტესობა ბოლი  
მ-4 წელიწადში შექმნა მხატვარმა.

სწორედ იმ წლებში მიაგნო საკუთარ  
თავს რუსუდან ჯავრიშვილმა და ძალა პრ-  
დაიშურა გადაეშალა ჩვენთვის ნაფიქრი დ  
ნაოცნებარი. ძიებაში მყოფს, დიდად შეუწ-  
ყო ხელი იმ ხანად საქართველოს სახალხო  
მხატვრის ელენე ახვლედიანის მიერ ჩამო-  
ყალიბებულ მხატვართა ჯგუფში ჩაბმამაც  
იმიერედან ბევრი სიახლე შეიქრა ნიექირ

ქართული მატანგის ფერსლები (მცხეთა)




შეტების უბე (თბილისი).




ქვის შტანი (უფლის კიხე)

ძველი ობოლისის დარბაზი (ნარეკლი)



ქალაქის პორტრეტი



სიკარგონი



მხატვრის შემოქმედებაში, იმიერიდან გახ-  
შირდა მოგზაურობაც მშობლიურ ქვეყანაში  
და ხან ზეთის ფერებით, ხან პასტელით,  
ხან აქვარელითა და ფანქრით, რუსულადი  
ქმნის ერთმანეთზე უფრო საინტერესო. უფ-  
რო დამაქვრებელ და თავისებურ ნაწარმოე-  
ბებს. ესენია: „კოშკი ჩოლოში“ (პასტე-  
ლი), „თემის ხეობა“ (ზეთი), „წალვერი“  
(პასტელი), „ქუჩა გურჯუფში“ (აქვარელი)  
„ჩემი სოფლის დილა“ (პასტელი).

გარდა ბუნების სურათებისა, რომლებშიც  
იგრძნობა რუსულადის უდიდესი ლტოლვა  
არქიტექტურული პეიზაჟისადმი, ინტერესს  
იწვევს ფანრული თემები — „დედაბოძი“  
(ზეთი), „ხევსური გოგონა“ (ზეთი), „დედის  
ტვირთი“ (პასტელი). ნატურმორტები, პორ-  
ტრეტები.

მაგრამ მხატვრის მთავარი მოწოდება ბუ-  
ნებაა და აი, ისევ და ისევ საქართველო  
თავისი მრავალფეროვნებით, სიახლით. „შე-  
მოდგომა ფასანაურში“ და „ხედი ნასაკირა-  
ლიდან“, „სოფელი ერწო“, „ავდრის წინ“  
(პორტრეტი), „ახალი გურია“, „რაქის ახალა  
გზა“.

...დიდად მასამოვნა რუსულად ჩავრიშ  
ვილის გამოფენამ. ქვეშაირტად ბრწყინვალე  
ფერწერის ოსტატი ბრძანდებით, ქალბატო-  
ნი რუსულად, და მეტად ეროვნული, რაც  
ჩემთვის განსაკუთრებით მომხიბლავია. ჩვე-  
ნი წარსულის ქვათა დალადი კიდევ ერთხელ  
შემომესმა თქვენი ფუნჯიდან! — თითქოს  
ცხადად გვესაუბრება, ცხადად ჩაგვესმის სა-  
სიქადულო პოეტის, გიორგი ლეონიძის ბუ-  
ბუნა ხმა შთაბეჭდილებათა წიგნში ჩაწერი-  
ლი სტრიქონების კითხვისას.

...ჩვენი წარსულის ქვათა დალადი უფრო  
მძლავრად გაისმა შემოდგომაში გამართულ  
გამოფენაზე, რომლის რუსულადანმა რუსთა-  
ველის დაბადების 800 წლისთავს მიუძღვნა.

რუსთაველის ნაკვალევზე ეველო მხატვარს  
და გაეზიარებინა რუსთაველის მომსწრე ქვის  
მატიანეთა ფიქრი, ესა ვარძია — პოეტის  
გენის სათავედ რომ ესახება, ქართული ხუ-  
როთომოდვრების სიამაყე — გელათი, მარა-  
დიული სილამაზე — ყინწვისი, ქვის მათი-  
ნე — უფლისციხე, თემის ხეობაში ცი-  
სარტყელასავით გადაქმული ქვახიდა,  
იუალთის აკადემიის ნანგრევები, ხერთვისი,  
თმოგვი, ვანის ქვაბები.

ამ ციკლის ნამუშევართა უმრავლესობა  
პასტელითაა შესრულებული. ისინი გამოირ-  
ჩევიან თავისებური ტექნიკით, რომელიც  
მეტად სასიამოვნო ფაქტურას ქმნის ქალ-  
დის მუქ ფონზე. წყვეტილი, ხორბოშელა  
ხაზები სიძველის შეგრძნებას აძლიერებენ.  
სწორედ ხუროთმოძღვრულ ძველთა წარმო-  
სახაზად. მათი სასიათის გადმოსაცემად აღ-  
მოჩნდა მეტად შესაფერისი წერის ასეთი  
ხერხი.

რა მდიდარია ფირუზი კითხა და ზურმუხ-  
ტი მდელითი „გელათი“. მაგრამ მთელ კომ-

პოზიციაში თვით ტაძარი გამეფებულა,  
მზისფერი, ჩამავალი მზით კიდევ უფრო და-  
ფერილი. ოხრის მეოხებით მხატვარმა  
ბრწყინვალედ გადმოგვცა გელათის შნი და  
ფერი. ალაგ-ალაგ შეპარებული მოლოურჭო—  
სოსანი ხაზები, შუქ-ჩრდილის ოსტატური  
განაწილება, მზის უხილავ სხივთა ანარქე-  
ლის ზომიერი თამაში ჰაეროვნების, მოცუ-  
ლობის, მზიანი საღამოს აღქმის საშუალებას  
აძლიერებს და დიდხანს ატყვევებს თვალს.

ფრესკული სიმშვიდე, სინათლე და ამაღ-  
ლებული განწყობილება გზილავთ პასტე-  
ლითვე შესრულებულ „მცხეთაში“, სადაც  
მხატვარი პირისპირ უყურებს სვეტიცხო-  
ველს.

ფერმწერი ზეთის მაინც ვერ უღალატებს.  
ზეთით წერისას მანერა უფრო მოლიანი მო-  
ნასმებით ხასიათდება. თუ პასტელში ინტი-  
მი, სინათლე და ფერთა სირბილე ქარბობს,  
ზეთით ბუნებისა და ძეგლის ერთიან, მო-  
ნუმენტურ სურათს იძლევა.


ასეთია „ძველი სატახტო ქალაქის სიმფო-  
ნია“, „პეტრიწონის მონასტერი“, „წუნდა“,  
„გრემი“. ასეთია ზეთითვე დაწერილი სრუ-  
ლიად ახალი ტილოები „შოვი“, „დათოვ-  
ლილი მთები“, „ბუნება“, „სოფელი გლო-  
ლა“, „რაქული მოტივი“, „კოჯრის „მილა-  
მოები“, „ჩარგალი“, „წალვერი“, „ნატურ-  
მორტი“.

რუსულად ჩავრიშვილს ხშირად შეხვდე-  
ბით თბილისის მიდამოებში და მის ახლო-  
მახლო. მის შემოქმედებაში აისახა ახალი  
თბილისის სანაპირო, საბურთალოს მშენებ-  
ლობა, რუსთავის შთაბეჭდილებებზე აკებუ-  
ლი ინდუსტრიული მოტივი. მხატვარი ძველ  
თბილისსაც ეწვევა ხოლმე. გორგასალის  
პროსპექტიდან აღიქვა და გადაიტანა ტილო-  
ზე ძველი და ახალი თბილისის მონაკვეთი—  
ერთი მხრივ, კლდეზე შემორჩენილი წინა  
საუკუნის ხის აივნისი სახლები და საპი-  
რისპიროდ გაკვირული ახალი ხიდი და სანა-  
პირო, შორს, მამადავითზე აზიდული სატე-  
ლევიზიო კოშკი. მას შემდეგ კი, რაც ელენე  
ახვლედიანმა თავისი „საგუშაგო“ გაანდო —  
სახლი ხარფუხში, უფრო გაუშინაურდა  
ძველ თბილისს. იქაური აივნიდან ბრწყინვა-  
ლედ ჩანს ნარიყალა, მეტეხი და მისი შემო-  
გარენი, მას შემდეგ შეიქმნა ჩინებული ნა-  
მუშევრები: „მეტეხის უბე“, „ძველი თბი-  
ლისის დარაჯი“ (პასტელი).

თბილისიდან მისი გზები ისევ ქვეყნის ოთ-  
ხივ კიდეს გარბიან, რომ კვლავ და კვლავ  
შეიცნოს სამუარო, კვლავ და კვლავ გაგვა-  
ხაროს ახალი ქმნილებებით.

და კვლავაც მხატვრის საგზალი იქნება  
მშობლიური ქვეყნის, მისი ბუნების, ხალ-  
ხის, წარსულისა და აწმყოსადმი დიდი სიყ-  
ვარული და...

ფერები, ფერები, ფერები...



ნატურმორტი



ხევსური თუნჯით

# კათილი ჯღაჯანი



დღესაც თამარი... გზა კი ნელ-ნელა მოკლდება საინჟინოროდ, გზა ფართო, ასფალტირებული, ხეხილით და დეკორატიული ხეებით შემოჯარული. ეს არაა ჩვეულებრივი მიწისქვეშა გამოწვეული დღეა. საქმე სამშობლოს წარსულს ეხება, ცოცხლდება გაგონილი ამბავი, იღვიძებს ტკივილი ოდესღაც წინაპრებისადმი მიყენებული ტრილობების გამო.

თამარს გადაწყვეტილი აქვს გაეცნოს ინგილო ხალხს, მათ ყოფას, გაიზიაროს მათი ავ-კარგი. ასეთი განზრახვით ჩავიდა საინჟინორო საქართველოს სკოლამდელთა აღზრდისა და სპეცკოლების მუშაკთა პროფკავშირის თავმჯდომარე თამარ ჭყონია. ჩავიდა, რომ საქართველოში წამოეყვანა ინგილო ბავშვები, მიეცა მათთვის შესაფერისი განათლება.

მაშინ ომი ახალდამთავრებული იყო, უჭირდა ნაომარ ქვეყანას. ას ორმოცი ინგილო ბავშვისათვის მაინც გამოინახა ადგილი ვაკის უდღემამო ბავშვთა სახლში.

ყველაზე მძიმე წლებში იყო თამარ ჭყონია ამ სერიოზულ და პასუხსაგებ თანამდებობაზე. პატრონობდა ობლადდარჩენილ ასობით ბავშვს, აწყობდა საბავშვო სახლებში. მაშინ ასეთი საბავშვო სახლები ძირითადად კოჯორში იყო. მათი რიცხვი ცხრაამდე გაიზარდა. თითოეულში დაახლოებით 100-150-მდე ბავშვი იზრდებოდა. იყო უწყლობა, უსინათლობა, სურსათის უქონლობა, ლოგინებიც კი არ ჰქონდათ საკმარისი, რომ ბავშვები ცალ-ცალკე დაეძინებინათ. თამარი ენერჯის მაქსიმალური დაძაბვით ართმევდა თავს სიძნელეებს. მას ის შველოდა, რომ ცხოვრების დიდი სკოლა ჰქონდა განვლილი.

...ეჭირობაზე უსაზღვროდ შეყვარებულმა, თავი ანება თავისი მიზნის განხორციელებას და აჭარულ ქალთა ცხოვრების გაუმჯობესებისათვის დაიწყო ზრუნვა. მისი „თავხედობით“ გაიზიანებულმა მამაკაცებმა იწყეს შორეულ სოფლებში ქალების მასობრივი გადასვლა, რათა ისინი ჭყონიას არ „გაებრიყვებინა“. თამარი კი უფრო მე-

ტი მონდომებით ეწეოდა აგიტაციას ქალის როლის, მოვალეობისა და უფლებების შესახებ. მას მრავალი მიმდევარი და თანამოზიარე გაუჩნდა. გაიზარდა ბათუმელ კომკავშირულ ქალთა რიგები. ამ დროს თამარ ჭყონიას აჭარის საოლქო კომიტეტი თბილისში, ამიერკავკასიის პარტიულ სკოლაში გზავნიდა. სტუდენტობის დროს იგი ხშირად გამოდიოდა ლექცია-მოსხენებებით საწარმო-დაწესებულებების მუშა ქალთა წინაშე. მისი ლექციების თემა უმეტესად ქალთა უფლება-მოვალეობის საკითხებს ეხებოდა.

სასწავლებლის დამთავრების შემდეგ თამარ ჭყონია გაიგზავნა საქართველოს პროფსაბჭოში მუშა ქალთა შორის მომუშავედ, იყო ჟურნალ „მშრომელი ქალის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი, შემდეგ საქართველოს კომუნალური მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის პასუხისმგებელი მდივანი, ხოლო უფრო გვიან — პარტიის ამიერკავკასიის ააშხარეო კომიტეტში აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილების ინსტრუქტორი.

თამარ ჭყონიამ გარკვეული წვლილი შეიტანა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების საქმეში. იგი სისტემატურად იგზავნებოდა თბილისის საწარმოებში და რესპუბლიკის რაიონებში მოხსენებებისა და პოლიტიკური კამპანიების ჩასატარებლად, აქტიურ მონაწილეობას იღებდა კოლექტივიზაციის საქმეში.

მუშაობის ბოლო წლებში თამარ ჭყონია განათლების სამინისტროს ბავშვთა სახლებშია და სპეცკოლების სამმართველოს უფროსი იყო.

1957 წლიდან თამარ ჭყონია პერსონალური პენსიონერია.

პასუხსაგებ თანამდებობებზე მუშაობის ოცი წლის მანძილზე მას მიღებული აქვს მთავრობის მრავალი ჯილდო.

არ შეიძლება გულგრილად უმზირო ამ მშვიდი გამომეტყველების მანდილოსანს, რომლის სულის სისპეტაკეს, სიღინჯეს და გარეგნულ მომხიბლობას ბევრი ვერაფერი დააკლო დრომ.

ნანული ბუკია

## წაუკითხეთ პატარებს

ფაფა

გავაკეთე ფაფა, ლამის დავწვი ტაფა. მიეპარა კატა, ხელად გადაულაპა!

ნუნუ ლალიძე

## პანია მრისხავი

რეცხა, რეცხა კაბები. ტაშტი ეღვა პაწია, გასარეცხი გაუხდა, ზედ რომ კაბა აცვია.

## ვისუნია

რაკი ყური არ უგდეს ფისუნიას ბავშვებმა, — ფისუნია საკუთარ კულდა ეთამაშება.

## ძილისგუდა

ჯამთარს ძილში ატარებსო დათუნია მულამ, მე კი არა, ის ყოფილა მართლა ძილისგუდა!

გიორგი შეთიაშაური



# გვსუი

მხატვარი დ. ზარაფიშვილი

თხელი თოვლი ფეხქვეშ დნებოდა. გამდნარზე სიფრიფანა ფანტელები თავს ვეღარ იკავებდნენ...

დაღმართი ნელა ჩაათავეს. მერე გურამი წინ გავიდა. კუთხეში, ცალთვალა ბენოს, ერთი „თბილისი“ გამოართვა. გზადაგზა გახსნა და გააბოლა. შემდეგ მობრუნდა: გოგის დაუცადა. გოგომ გურამს ხელი გაუყარა.

— დღეს გადაწყდება ყველაფერი. — თქვა გოგომ. — იცი, მე მას პირდაპირ ვეტყვი: მეტი აღარ შემიძლია-მეთქი, მორჩა და გათავდა. ესეც მესუთე წელი. ჩავიდებ დიპლომს ჯიბეში და სოფლისკენ გავწვი. აქ მეუბნებოდნენ დარჩენას. არ ვქენი. გაუკვირდათ. ჩვენ სოფელში ყველაფერი გვაქვს: ტყე, მიწა, მთები, მდინარე... ჰოდა, მგონი ყველას თავისი გზა აქვს...

ხუთი წლის განმავლობაში, გურამი პირველად ხედავდა გოგის ასეთს. ყოველთვის ჩუმი, გულჩათხრობილი გოგი ახლა იცინის, იცინის ხმა-მალდა, ლაპარაკის დროს ხელებს იშველიებს...

ბიჭები ახლა პროსპექტზე მიაბიჯებენ. უნივერსიტეტამდე ერთი გზა აქვთ: მერე გოგი მერე მხარეს გადავა... გურამი ვარაზისხვეით, თერთმეტ-სართულიანი სახლისაკენ დაემეხა. იქ, ეკას შესვლება.

პროსპექტზე თოვლი ტალახად არის ქცეული. ქვაფენილა ნაპირებშიღა შერჩენია თეთრი ფიჭვები. გურამი პაპიროსს ეწვიდა და დუმს. გოგი ლაპარაკობს. ლაპარაკობს ხმამალდა... იგი ამ წუთას, აშვერილი ხელებითა და აწითლებული სახით, სასაცილოდ გამოიყურება. მაგრამ გურამი სულაც არ აპირებს დაცინვას. პირიქით. მიაბიჯებს მის გვერდით და გრძობს, თურა ლამაზია ამ წუთას ეს უხეში სახის ნაკეთებიანი, მოჭიდავესავით დაკუნთული სოფლელი ბიჭი. შეპყრებს მის ბედნიერ სახეს და შურს...

ბიჭები ერთხანს ჩუმად მიაბიჯებენ, თავიანთ ფიქრებს მისცემიან. „მე და ეკა — ფიქრობს გურამი — ვიცინით, ცხვეკავთ, ერთად დავდივართ დაბადების დღეებზე... მერე, გაზის ნათურებით ფერწასულ ქალაქს ვედებით და ვკოცნით ერთმანეთს, ვკოცნით და მაინც ორივეს კარგად გვესმის, რომ გვაკლავს ის, რაც არ იბადება სიცოცხლეში. არ იბადება ცხვეკით და არც ფერწასული ქალაქის ქუჩებში სეტყალით...“

— გურამ, შენ გჯერა ბედნიერების?  
გურამი გამოერკვა. გოგის მოხედა. მჯერა ისევ აარიდა.

— მე კი მჯერა. ჰო, მჯერა.  
გურამი უნივერსიტეტის წინ იდგა და მიმავალ გოგის გაძყურებდა. გოგომ აცალა, სანამ მანქანების ნაკადი ჩაიფლიდა. მერე მერე მხარეს გადავიდა...

გურამმა ვიღაც გამხდარი ბიჭი გააჩერა. საათი ჰკითხა, ბიჭმა ასანთი გაუწოდა. გურამმა ახლა-ლა შენიშნა: ჩამქრალი პაპიროსი ედო პირში.

გურამმა პაპიროსს მოუკიდა და ასანთი დაუბრუნა. ბიჭმა თავი დაუკრა და სწრაფად გაშორდა. კუთხეში, განმარტობით, ქერა გოგონა იდგა. მათ ხელებით ერთმანეთს რაღაცა უთხრეს. მერე გოგონამ ბიჭს ხელი გაუყარა. გურამს ნაღველი შემოაწვა.

შემოდან ტრამვაი მოგორავდა. გურამი გაქანდა და ტრამვაის აახტა: ვაგონი ცარიელი იყო და მსუბუქად მიგორავდა.

ტრამვაიმ უნივერსიტეტს ზრიალთ ჩაუქროლა. მერე სვლას უკლო. კაბინიდან ვატმანმა გამოიხედა: გურამს რაღაც ანიშნა. გურამი ვერ მიუხედა, წინ გავიდა.

ვატმანს შავი, გრუზა თმა და გახეთილი ხელები ჰქონდა.

— საით მიდიხარ? — ჰკითხა ვატმანმა ისე, რომ არც მოუხედავს.

გურამი მიხვდა: ვატმანი სარკეში ხედავდა.

— როგორ „საით“? — გაიკვირა გურამმა.

ვატმანმა მოხედა. სახეზე ღიმილმა გადაურბინა. თეთრი, მეჩხერი კბილები გამოაჩინა.

— პარკში მივდივარ. — თქვა მან.

— პარკში რა გინდა, კაცო?

ტრამვაიმ მოედანს წრე დაარტყა, პირი იბრუნა და ახლა დაღმართზე დაგორდა.

— მე არაფერი. — გაიღიმა ისევ ვატმანმა. — ტრამვაი... ხო იცი, ყველას თავის გზა აქვს. ჰოდა ამასაც...

სქელი ბინდი იწვა ქალაქში.

თოვდა ძალიან თხლად.

ქუჩაზე თხელი თოვლი ფეხს ვერ იკიდებდა. ქვაფენილს, ნაპირებშიღა შერჩენიდა თეთრი ფიჭვები, სიბნელეში თეთრი ზოლები პრილა ლიანდაგებს წააგავდა.

# მისაკეჩი



რეასართულიანი სახლის სადარბაზოში პატარა, ლოყებგაბერილმა ბიჭმა აირბინა. მესამე სართულის ბაქანზე სული მოითქვა, ფეხის წვერებზე აიწია და კარებზე ზარს ჩამოჰკრა.

კარი ახალგაზრდა ქალმა გაუღო. მას მუხუდოსფერი კაბა ეცვა. ზედ ზოლიანი ჩითის წინსაფარი ეკეთა:

— ვინ გინდა, ბიჭიკო?

ბიჭმა ქალს მიხაკები გაუწოდა:

— ეს თქვენ! — თქვა მან.

ქალს თვალები გაუფართოვდა. მერე შუბლზე ჩამოყრილი თმა შეისწორა და გაეღიმა:

— ვინ გამოგატანა?

— არავინ! — თავი გადააქნია ბიჭმა.

— როგორ თუ არავინ? — წამოწითლდა ქალი

— არ ვიცი, დეიდა, მითხრეს არ უთხრაო.

ბიჭი კიბეზე დაქმვა. ქალმა კარი მიიხურა და ოთახში შებრუნდა. მიხაკები წიგნების კარადაზე შედგმულ ლარნაკში ჩააწყო და აივნისაკენ წავიდა.

აივნიდან ქუჩა მთელი სიგრძით მოჩანდა. თავში აფთიაქი იყო, მერე გასტრონომიული მაღაზია, შემდეგ კინოთეატრი... ქალი აივანზე, რკინის მოაჯირს დაყრდნობოდა, გამეღვლებს ათვალეირებდა. თვალები რაღაც უცნაურად, უცხო სიცოცხლით უელავდა...

„ეჰ, ოჯახში რა გამოლევს საქმეს?... — გაიფიქრა ქალმა. ქუჩას უკანასკნელად მოავლო თვალი და ოთახში შებრუნდა. მერე სკამზე მიგდებული წინსაფარი სარკის წინ აუჩქარებლად გაიკეთა და სამზარეულოში გავიდა.

სალამო ხანს სამსახურიდან ქმარი დაბრუნდა. კარი შეაღო და ერთხანს დერეფანში შეიცადა. კაცს გაუკვირდა, შინ დაბრუნებულს, ცოლი რომ არ შეეგება:

— ლილი, მოხდა რამე?

— საიდან დაასკვენი? — მიუგო ქალმა.

— რა ვიცი...

— მაინც?

— ფერი არ გვიარტა...

— დემერთო ჩემო! — წამოიძახა ქალმა. —

ეს კაცი საიდან რას არ მოიგონებს!

ქმარი სამზარეულოდან გავიდა. ოთახში პატარა ნათურა აანთო, სავარძელში გადააწვა და თაროდან დილის ფოსტა ჩამოიღო.

ქალმა სამზარეულო მოათვალიერა. სანაგვე ვედრისთან მოწითალო ყვავილის რამდენიმე ფურცელი ეყარა. სწრაფად დაიხარა, აკრიფა და ვედროში ჩააბრუნა. მერე ქუჩაზე სადილი შედგა გასაცხლებლად.

ცოტა ხნის შემდეგ ქმარი ისევ შემოვიდა სამზარეულოში.

— ბავშვი სად არის? — იკითხა მან.

— დღეს ხომ კონცერტი აქვს.

— მე სულ დამაგიწყდა, მაგრამ, შენ... რატომ არ წავედით?

— თვითონ მთხოვა.

— რა გთხოვა?

— თქვენ რომ დაგინახავთ, სულ ვერ დავეუკრაო.

— არ მესმის.

— მე კი მესმის.

— რა გესმის, ის რომ შვილს ხელს შეგეშლილიდით?

— რატომ ცხარობ? — უპასუხა მშვიდად ცოლმა. — ბავშვი მართალია, აღელდებოდა... ეს ხომ მისთვის პირველი კონცერტია.

დარევეს, კაცი კარის გასაღებლად წავიდა.

— მარი მოვიდა. — თქვა მან, როცა დაბრუნდა. მერე მარცხე შემოვიდა.

— რა ჰქენი? — ჰკითხა დედამ.

— დავუკარი.

— რა თქვენ?

— რა ვიცი, მგონი მოეწონათ. — თქვა უხალისოდ მარმამ.

კაცმა ჯერ ცოლს შეხედა, მერე შგ ლს. ცოტა ხანს კიდევ იდგა. მერე მხრები აიჩქრა და მეორე ოთახში გავიდა.

— დედა, სად არის მიხაკები?

— რა მიხაკები, შვილო? — ხმა გაეზარა ქალს.

— არავის მოუტანია?!

დედამ ხმა არ გასცა. შებრუნდა, ქუჩა გამოართო და ქვაბი გადადგა.

ოთახში კაცი სავარძელში ჩაფლულყო და ისევ გაზეუტებს კითხულობდა.

— აბა, გამოგატანეო... — უკმაყოფილება სახეზეც დაეჭყო გოგონას.

სამზარეულოდან გასულ შვილს დედამ თვალი გააყოლა. „ვერც კი შევნიშნე, როგორ წამომეზარდა...“ — ფიქრობდა მერე ქალი.

# შვილები

ნამდვილი ამბავი



მასწავლებლები, ახლობლები. კეთილის მსურველის რჩევით ავადმყოფი დედა სოფელ გამარჯვების საავადმყოფოში დააწვიეს, ბავშვები კი წითელწყაროს სკოლა-ინტერნატში მოათავსეს.

ვერს ისვენებდნენ შვილები ინტერნატში, სულ დედის ხსენებაში იყვნენ. ერთხელ გული აღარ დაუდგათ და საავადმყოფოში გაიპარნენ დედის სანახავად. სიხარულის ცრემლებს ღვრიდა დედა. ბავშვები ეხვეოდნენ, ჰკოცნიდნენ, გულში ეხუტებოდნენ მშობელს.

— ჩვენ უშვინოდ ვერსად გავძლებთ, დედიკო, — ცახცახებდა დედის მკერდს მიკრული თალიკო.

— არც მე შემძლია უთქვენოდ სიცოცხლე, შვილებო, — წაიჩურჩულა დედამ და ყრუ ტკივილმა გულის კოფში აუწვია.

არ დაინგრა „ბრატანთ“ სახლის ფუძე, კერაზე ნაცარი არ გაცვიდა. მთელი სოფელი აღსდგა მათ დასახმარებლად. მეზობლები — მარუსა ჯანაშვილი, ცისია ნაცვლიშვილი, კატუშა ნატროშვილი, თამრო ოზბეთლაშვილი, მანანა ნატროშვილი, მარიამ ჯანაშვილი და სხვები მზრუნველობას არ აკლებდნენ ივლიტასა და მის ბავშვებს. დილით, ადრე, სანამ ცის ლაქვარდს მზის პირველი სხივი დაჰკარავდა, გულნარი და თამილა უკვე ფეხზე იყვნენ. თამილა დედას მიუტრიალებდებოდა, გულნარი კი საოჯახო საქმეებს აკეთებდა. თუ დრო დარჩებოდა, გაკვეთილებსაც იმეორებდნენ, ცოტას წაიხეხებდნენ, დედას გამოეწონებოდნენ და სკოლისკენ მიეშურებოდნენ. მთელს სკოლაში გამოირჩეოდნენ ისინი თავაზიანობითა და გულისხმიერებით. გაკვეთილებზე ყურადღებით ისხდნენ; ცდილობდნენ მასწავლებლის არც ერთი სიტყვა არ გამოჩინებოდათ. თითქმის სკოლაშივე სწავლობდნენ გაკვეთილებს. სკოლის დირექტორი ვალიკო ჯამასპიშვილი და კლასის ხელმძღვანელები ანიკო კვანჭილაშვილი და ლიდა გოხალიშვილი მშობლიური მზრუნველობით თავს დასტრიალებდნენ ბავშვებს.

საწოლს მიჯაჭვულ დედას საშინელი ტკივილების გადატანა უხდებოდა. ვაზივით გადახლართული ფეხები რეზინის ბალიშზე უგრძობლად ედო და ფუტუროსავით გამოფიტულ ტანსაც მოძრაობის უნარი მთლიანად წარმოეშვა. არც გადაბრუნება, არც გადმობრუნება, არც წამოწევა, უბრალო გატოკებაც კი არ შეეძლო. რა ემართებოდა ამ ბოლო დროს?! გრძობდა, ძალ-ღონე რომ ეთეოდა, ხელებს ეკარგებოდა მოძრაობის უნარი, გულიც ყრუდდა ფეთქავდა... მაგრამ მინც ცოცხლობდა დედა, შვილებს საიმედოდ ცოცხლობს ეს სულით ძლიერი ქალი.

დილით, როცა ბავშვები სკოლაში არიან წასული, კარის მეზობლები — მარუსა და ცისია ივლიტასთან მიემუხრებიან; ანუშვებენ, ახსენებენ თუ ოჯახში საქმეა გასაკეთებელი, არც იმას იზარებენ, ბავშვებს უმსუბუქებენ შრომას.

რვა წელიწადია, რაც ივლიტა ნატროშვილი საწოლს მიეჯაჭვა. ბებერი რამ შეეცადა ამ ხნის მანძილზე. რვა წელიწადი წინ ხომ დედა დაედუპა, სამი წლის წინ კი — მამა, მათი ოჯახის ნუგეში, იმედი და მარჩენალი, კოლმეურნეობის თავადებული მშრომელი, სოფლის საყვარელი ადამიანი. კოლმეურნეობამ სანდროს ამაგი არ დაივიწყა, კიდევ უფრო გაუორკვცა ყურადღება

ეზოს გადაღმა ბავშვების მხიარული ყიჟინა ისმოდა. ჩამავალი მზის სხივები აღმაცერად ეცემოდა აივანზე გადმომდგარ თორმეტრიოდ წლის გოგონას სახეს და დიდრონ, ლამაზ თვალბეჭდში ჩაგუბებულ სევდას უფრო უელვარებდა. თითქოს რაღაც სასიხარულო გაახსენდა, უმალ კიბეებზე ჩაინავარდა, აღტაცებულმა გახედა მეზობელ ეზოში მოთამაშე უბნის გოგო-ბიჭებს და ის იყო მათთან უნდა გაქცეულიყო, რომ წამით შეყოვნდა, არეული ნაბიჯით მიუახლოვდა კიბესთან მდგარ მსხმოიარე თუთის ხეს და ხელები მაგრად შემოაჭდო მის დაკოყრილ ტანს.

— მოდი გულნარი, სათამაშოდ, — ეძახდა ხმა

— ვერა, ვერ წამოვალ, დედას მარტო ვერ დავტოვებ, — პასუხობდა გოგონა.

— მოდი, გულნარი, ვითამაშოთ, პატარა და თალიკო ხომ შინაა, — ეძახდა იგივე ხმა.

— ვერა, ვერც პატარა დაიკოს ანარა მივატოვებ საწყალ დედას, — ჩურჩულებდა კვლავ გოგონა.

ფართოდგახელილ ბავშვის თვალბეჭდში უხვად იღვრებოდა მზის სითბო, ბორბავდა გული, პატარა გული ბორბავდა უსაშველოდ...

სანდრო ნატროშვილის ოჯახი სოფელ ზემო მარხანში განთქმული იყო გულკეთილობით და შრომისმოყვარეობით. „ბრატანებს“ ეძახდა მთელი სოფელი მას. ხალხი დიდ სიბრძნეს იჩენს მეორე სახელის შერქმევში. არც ამჟერად შემცდარა სანდრო ყველასათვის ძმასავით ახლობელი იყო.

კოლმეურნეობის ჩამოყალიბების პირველი დღეებიდანვე სანდრო და მისი მეუღლე თამრო კოლმეურნეობის აქტიური მშრომელები გახდნენ. ოთხი შვილი ჰყავდათ, ოთხივე გოგო. მეორე შვილმა ივლიტამ საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ საბუღალტრო კურსები დაამთავრა და კოლმეურნეობაში დაიწყო მუშაობა მოანგარიშედ. ეს ის პერიოდი იყო, როცა სამამულო ომი მძვინვარებდა.

...გამოიდარა. გამარჯვების გაზაფხულს უფრო მეტი ეზი და სილამაზე მოჰყვა. დაბრუნდნენ ლომგული ვაჟკაცები სამშობლოში — ზოგი ჯანსაღი, ზოგიც ხეიბარი.

ომის ქარცეცხლიან დღეებს უნებელი გადაურჩა ქვემო ბოდბელი ვასილ ხუნაშვილი და ვალმონხელი ჩამოვიდა. უკვე დავაჟკაცებულს, ცხოვრების ერთეულ თანამგზავრს ეჭირებოდა და ასეთი თანამგზავრობა ივლიტა ნატროშვილმა იკისრა. მალე პირველი შვილი შეეძინათ, გულიკო დაარქვეს, გულიკოს თამილა მოჰყვა. გაიზარდა ოჯახი. დიდ ოჯახს კი მეტი მზრუნველობა და პატრონობა უნდა. ყურადღებას არ აკლებდა ივ-

ლიტა ქმარ-შვილს, თავისთვის კი ვედარ იცლიდა. სწორედ ამის შედეგი იყო, რომ ამ ჯანმავარ ქალს ავადმყოფობამ დარია ხელი; რემატოიზმს დროზე ვერ მიაქცია ყურადღება, გაურთულდა მდგომარეობა, მკურნალობდა, მაგრამ დაგვიანებულ მკურნალობას დადებითი შედეგი არ მოჰყოლია. ქმარიც გადასხვაფერდა, ყოველდღე ბუზღუნებდა, დაშატრული ენაც გაუმწარდა. ავადმყოფ ქალზე ძლიერ მოქმედებდა ქმრის ასეთი უსულგულო საქციელი. ივლიტამ დედის ბინა მიაკითხა, მაგრამ ვედარც ყოვლისშემძლე დედის მზრუნველობამ უშველა, 1958 წელს ხერხემლის ტვინის ანთების შედეგად საბოლოოდ საწოლს მიეჯაჭვა.

პატარები სკოლიდან დაბრუნდებოდნენ თუ არა, მაშინვე მწოლიარე დედას გადაკოცნიდნენ, ხუთიანებს ასარებდნენ და უყვებოდნენ სკოლაში მომხდარ ამბებს. დედას სიხარულისაგან სახე წამოჩენებოდა, ლოგინზე წამოწევა, ადგომა და შვილების მოფერება უნდოდა, მაგრამ ფრთამოტეხელ ფრინველივით ისევ ძირს ეცემოდა...

ბავშვებს ბებია თამრო ასადილებდა. მაგიდის ერთ კუთხეში მიყუჟულები, ცრემლმორეული თვალებით შეჰყურებდნენ დედას და გულში სხვა ტკივილსაც გრძობდნენ... მათ დედის მზრუნველობასთან ერთად მამის ალერსიც აკლდებოდათ. კაცმა, რომელმაც გულის ადვილას ქვა ჩაიდო, ცოლის ავადმყოფობის გამო დაანგრია ოჯახი, დატოვა ბავშვები ავადმყოფი დედისა და ბედის ანაბარა, გაექცა ცოლს გაჭირვების ჯამს; კაცი, რომელიც ვაჟკაცურად იბრძოდა ფაშისტების წინააღმდეგ, ლაშრულად გაექცა ავადმყოფ ცოლს.

დედი უბედურების გადატანა მოუხდათ ივლიტას მოხუც მშობლებს. სანდრო ყარაულად მუშაობდა ზემო მარხანის კულტსახლში და რაც შეეძლო, მზრუნველობას არ აკლებდა დაობლებულ ოჯახს. თამრო ხომ მთელი დღე ჯარსავით ტრიალებდა. საქმე იმდენს არ ღლიდა, რამდენსაც დარდი. ეპ, სწორედ შვილის უსაშველო დარღმა გაათავა ყველასათვის მახლობელი და მოსიყვარულე, საქმეში დაუზარელი და ფუტკარივით შრომისმოყვარე დედაც კი — უდროოდ წაიქცა ოჯახის დედაბოძი. ავადმყოფმა შვილმა ვერ მიაცილა მისთვის ჩაფერფლილი დედა საფლავამდე, დედის საფლავს ვერ მიაყარა ერთი პეშვი მიწა... ტკივილებმა და ცრემლმა იმატა. აპა, მოხუცი სანდრო როგორ შეძლებდა ოჯახის ამ გადახსნილი მწვავე იარის დაყურებას, რამდენიც არ უნდა ეცადა ვერ შეძლებდა.

ბავშვების წინაშე წამოიტრა მწვავე საკითხი: სკოლა მიეტოვებინათ და დედისათვის მოეკლოთ, თუ როგორ მოქცეულიყვნენ, ვერ გადაეწყვიტათ. აგერ გავიდა ორი კვირა და გულნარი სკოლაში არ მისულა. შეწუხდნენ გულნარის ამხანაგები,

„ბრატანთ“ ოჯახს. პენსიის სახით ივლიტა ნატროშვილი ყოველთვიურად ლეზულს 27 მანეთს. გარდა ამისა, კოლმეურნეობაში შექმნილი ურთიერთდახმარე სალარო ამ ოჯახს მუდმივ დახმარებას უწევს შემთხვევით, ფიზიკით, ყველით, ერბოთი, ღვინითა და სხვა პროდუქტებით.

ლონიერია სოფელი ზემო მაჩხაანის და ერთმანეთის გამტანია აქაური ხალხი. საზოგადოებრივი მეურნეობის ნიჭიერი ორგანიზატორი, სოციალისტური შრომის გმირი, კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნიკო მამაიაშვილი მშობელ მამასავით თავს დასტრიალებს ათასხუთასკოლიან სოფელს. უზადო გულის პატრონია ეს თმაშვეერცლილი, მაგრამ ხალისიანი და კლდესავით მტკიცე ნებისყოფის მქონე ადამიანი. ყურადღებიანი და გულისხმიერი, ადვილად გებულობს, ვის ულხინს და ვის უჭირს, გებულობს და ენერგიას არ იშურებს გაჭირვებულის დასახმარებლად. ამ ჰუმანური ადამიანით მადლიერია მთელი სოფელი და ყველაზე მეტად კი მადლიერია ურთი ოჯახი, საწოლს მიჯაჭვული ქალის — ივლიტა ნატროშვილის ოჯახი. როგორ დაავიწყდება ავადმყოფს ის მზრუნველობა, რაც ნიკო მამაიაშვილმა მის ბავშვებსა და ოჯახს გაუწია. უკანასკნელმა დახმარებამ ხომ ყველას გადაატარა.

1906 წელს აშენებულ ორსართულიან ქვიტკირის სახლს სიძველე შეეპარა, წვიმა ჩამოდიოდა აივანზე, ციოდა ოთახებში. კოლმეურნეობამ გააღვივებინა, შეეკეთებინა სახლი. შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ კედლები გაბზარული იყო, საშიშროება მოელოდა მთელ ოჯახს. ნიკო მამაიაშვილმა გაიგო თუ არა საქმის ვითარება, მაშინვე გასცა ახალი სახლის აშენების განკარგულება. მიუხედავად იმისა, რომ ზაფხული იყო და მუშახელი ჭირდა, სასწრაფოდ გამოყვეს სამშენებლო ბრიგადა, გაიჭრა საძირკველი... მეზობელმა მარიამ ჯანაშვილმა სახლის დამთავრებამდე თავისთან შეიფარა ავადმყოფი ქალი და მისი შვილები. ძველი ფუძე მაინც არ მოიშალა, ნაცარი არ გაცივდა „ბრატანთ“ კერაზე, ახალი, მშვენიერი სახლი წამოიშალა ძველი სახლის ადგილზე.

თუთის ხეს მიჰყუდებია 17-18 წლის ქალიშვილი და მეოცნებე თვლებით გაჰყურებს ცის ლაქვარდოვან სივრცეს. ეს ქალიშვილი გულნარია. მან შარშან დაამთავრა ზემო მაჩხაანის საშუალო სკოლა. შარშანვე წავიდოდა სწავლის გასაგრძელებლად, მაგრამ ავადმყოფ დედას პატარა დის ამარა ხომ ვერ დატოვებდა. მით უმეტეს, რომ თალიკო წელს ამთავრებდა სკოლას და ხელისშეწყობა სჭირდებოდა.

ცხოვრების სიმკაცრემ ვერ დაუღწია გულნარიის ოცნების ფრთები, ვერ ჩაჰკლა მასში წყურვილი სწავლისა, შრომისა და უკეთესი მომავლისა. გულნარიის სურვილია, დაუსწრებლად გააგრძელოს სწავლა და გამოვიდეს პედაგოგი, შეასწავლოს ბავშვებს მშობლიური „დედა ენა“, შეასწავლოს მათ ცხოვრების ავიც და კარგიც, რომ დაბრკოლებების გადალახვა არ გაუძნელდეთ.

ბავშვობის მშფოთვარე დღეები უკან დარჩა. დიდ ცხოვრებას ფოლაადივით გამოწრთობილი სვდებიან დები.



# ქვიტკირი

იყო და არა იყო რა... იყვნენ ყვაილები და იყვნენ პეპლები. არავინ იცის, პეპლები ადრე გაჩნდნენ ქვეყანაზე, თუ ყვაილები. ერთმანეთის საალერსოდ რომ არიან დაბადებულნი, ეს კი ყველასათვის ცხადია.

დიდი ხნის წინათ ყველა პეპელა ერთნაირი იყო: თეთრფრთიანი და თეთრგულა. გაჩნდნენ თუ არა, მაშინვე შემოჰკრეს ფრთა ფრთასა და სახრდოს საძებნელად გასწიეს. ძალიან ბევრი იფრინეს, იფრინეს მანამდე, სანამ იმ მინდორს წააწყდებოდნენ, რომელზედაც ყველა ლამაზი ყვაილი ხარობდა. მინდორი იმდენად კექლუცი იყო, რომ პეპლებს თვალები აუჭრელდათ და ზევით-ქვევით იწყეს ფარფატი. ბოლო, ვისაც რომელი ყვაილი მოეწონა, მისკენ გასწია. ყვაილებმა სიამოვნებით გადაუშალეს გული ნანატრ სტუმრებს. ზოგს მიხაკი მოეწონა, ზოგს ენძელა, ზოგი ყაყაოს ფერმა მოსიბზლა, ზოგიც ვარდისა და იის სურნელმა მიიზიდა.

თეთრი პეპლებით მოქარგული მშვენიერი მინდორი, ისეთი ლამაზი სანახავი იყო, რომ თვით მზეც კი მოიხიბლა და უფრო მეტად იცინოდა. პეპლები მთელი დღე ტებებოდნენ ამორჩეულ ყვაილთა ალერსით. საღამოს, როცა პეპლებისა და ყვაილების ცქერით დაღლილი მზე მთას ამოფარა, პეპლებმა უკანასკნელად მიუალერსეს ყვაილებს და ზედვე ჩაეძინათ.

მეორე დილას მზე კვლავ ეახლა მინდორს და დაინახა: ყველა პეპელას ფრთები და ტანი მისი საყვარელი ყვაილის ფერად მოხატულიყო. იმ დღიდან მინდორები საესეა ფერად-ფერადი პეპლებით, რომლებიც ამორჩეულ ყვაილებს სიყვარულით ევლებიან თავს.

სოფელ ბაგების თავში, ერთ ლამაზ სახლში ცხოვრობს შავთვალა ბიჭი ვანო. ვაკის სკოლაში სწავლობს, ამხანაგები სიყვარულით „ბაგელ ვანოს“ ეძახიან.

პატარა ბიჭი ვანო, მაგრამ გული ვაჟაკისა აქვს. სხვები იქვე ცხოვრობენ და დედები მოდიან მათ წასაყვანად, ვანო კი გულდაგულ დაადგება მოასფალტებულ გზას და მიდის... ხან დღიანით, ხან ღამით, ხან შუბლშვეკრული, გაჩინია, რა გუნებაზეა, მაგრამ, რა გუნებაზეც არ უნდა იყოს, ვაკის პარკთან პაპა ნიკოს ურიკასთან მაინც მივა, შაურიანს წკრიალს მოადენინებს ხურდა ფულზე და ვარდის წვენს ანიშნებს.

— მოგწყურდა? — შადრევანს დაატრიალებს პაპა ნიკო და კრიალა ჭიქას წითელი წყლი უვსებს. — კიდევ ხომ არ გინდა? — წარბებიდან შეჰყურებს პაპა ნიკო და ჭიქა ისევ შადრევანთან მიაქვს.

— არა, არა, აღარ მწყურიან! — ხელებს აასავსავებს ვანო, მაგრამ იცის პაპა ნიკომ, ბიჭს მეტი ფული არა აქვს წყალი კი გულით უნდა.

— აპა, დალიე!

— არა, პაპა ნიკო, არ მინდა. იცით, რა გახარებული ვარ, არითმეტიკაში ხუთიანი მივიღე! — სიტყვას განგებ ბანზე აგდებს ვანო.

— ჰოდა, ესეც მადარჩი! დალიე, დალიე, ალალი იყოს... შენ და გელა შერიგდით?

ვანო უქნევს თავს. მერე ჰყვებიან ამ მთისას, იმ მთისას, მერე ვანო მადლობის ნიშნად თვალბებს სრის და მიდის თავისი გზით.


იმ დღეს პაპა ნიკოს მოლოდინი გაუცრუნდა. პატარა ვანო აღარ მოადუა იმის ურიკას. არც მეორე და მესამე დღეს გამოჩნდა. შეწუხდა მოხუცი — ავად ხომ არ გახდაო.

მერე კი გულზე მოეშვა პაპა ნიკოს: „სულ არ გამახსენდა, დაითხოვდნენ, სოფელში გაემგზავრებოდა. მერე არ უნდა გამომთხოვებოდა? ალბათ წერილს გამომიგზავნის, უთუოდ გამოგზავნის. აბა, ერთი ნუ გამოუგზავნია!“ — ვითომ დაემუქრა კიდევ პაპა ნიკო, თან იქვე მიესიყვარულა: — „პატარა ბიჭო, რა ქნას, ჯერ ამდენი არ იცისო“.

ვანო კი უთუოდ გამოუგზავნის წერილს თავის მეგობარ პაპა ნიკოს.



# 213415 2025- ბონუსი



საწარდო და სამაისო ქუთაისს დიდი აკაკის სპეტიაკი სახე ერთი ასად მატებდა ეშხს. მგოსანი ქუთაისელთა სასურველი სტუმარი იყო, მათი ოჯახის კარი მარად ღია იყო დიდი ადამიანისათვის. ერთხელ აკაკი დგებუაძეებმა მიიპატივეს. აივანზე მუსაიფში გართულ სტუმარ-მასპინძლებს ერთი გოგონა შემოემატა. მორცხვად გაჩურდა და მოწინებთ შეპყურებდა მგოსანს. აკაკიმ იკითხა გოგონას ვინაობა. აღმოჩნდა, რომ იგი მასპინძლის ქალიშვილი იყო, ქალთა გიმნაზიის მოსწავლე. ქალიშვილს „შალა-ლი წრის“ ნათესაობი ემდურებიან — რევოლუციონერებს მეგობრობს, არალეგალურ წრეებში მცადინეობსო. აი, ასლაც წრის მცადინეობიდან დაბრუნდა თურმე. მუდარით სავსე თვალებით შეპყურებს სათაყვანო აკაკის. და მგოსანმა გაიღიმა, ასლო მოიხმო იგი და გამხმნვა:

„შენა ხარ, ნიკოლოზს რომ ჩამოვდებას უპირებ? შენმა გაზრდამ, კარგ საქმეში მიგიღია მონაწილეობა!“

დღეს ეს გოგონა, — თმათეთრი, ღვაწლმოსილი მწერალი ფუცუ დგებუაძე-ფულარია ოთხმოცი წლისაა. იგი საყვარელ ქალაქ სოხუმში ცხოვრობს და მოღვაწეობს. მიდის შრილა ზღვასთან, ჯდება საქვეყნოდ განთქმულ სანაპიროზე და გაპყურებს გემებს. მას ავონდება ყველა სიმღერა, რაც ზღვაზე თქმულა. ზღვა და მზე ათობს მას, უთბობს ხანდაზმულ გულს. გულს კი ბეჭერი რამ აქვს მოსაგონარი:

აი, მთლად ახალგაზრდა გიმნაზიელი გოგონა მეგობრებთან ერთად მეფის სურათის ჩამოგლეჯას ცდილობს გიმნაზიის კედლებიდან. მერე მეგობრებთან ერთად გადის მღვლეარე ქუთაისის ქუჩებში. მღერის რევოლუციური სიმღერებს, მზადაა დადგეს ბარკადებზე, წყლული შეუზვიოს დაჭირლ ვაჟაკებს, თუ შეიარაღებული ბრძოლა დაიწყება. ვაჟაკები, რევოლუციის თავდადებული რაინდები კი ძალიან ბეჭერია მის

გვერდით. ალიოშა ჯაფარიძე და სტეფანე შაუმიანი, სტეპკო ინჭკირველი და იცა რიყინაშვილი, სერგო ჭავთარაძე და პავლე საყვარელიძე, მიშა ოკუჯავა და საშა წულუკიძე, მიხა ბოჭორიშვილი და ვარო ჯაფარიძე. საყვარელი ვარო! უფროს დად მიაჩნია ფუცუს ვარო — ალიოშა ჯაფარიძის ცხოვრების მეგობარი, რომელიც დიდად ზრუნავს ქალიშვილების გათვითცნობიერებისათვის.

მთელი თავისი ზანგრძლივი ცხოვრების გზაზე ეს ძვირფასი სახელები ანათებდა ფუცუ დგებუაძის სულში, ანათებდა, როგორც დიდი იდეებისათვის ზეაწეული დროშები. ბეჭერი მათგანი დაეცა ამ გზაზე. ზოგი რეაქციამ შეიწირა, ზოგს ავადმყოფობამ მოუღო ბოლო, ზოგს მტრის ტყვია მოხვდა. მაგრამ მათი დროშები ხელიდან ხელში გადადიოდა. ამ დროშის ტარზე ჩვენს სახელოვან ქალებსაც ეკიდათ ხელი. ფუცუ დგებუაძე ხომ ერთი მათგანია. წაიკითხეთ მისი „მოგონებები“ — და არ შეიძლება არ მოგსიბოლოთ ამ ქალის რომანტიკულმა სულმა, არ დაგაახლოვოთ იმ ადამიანებთან, რომელთა სახელები ლეგენდასავით გადმოგვეცა...

ზღვა არის ზურმუხტისა და ფირუზის ფერი. მშვიდი ტალღა იმსხურევა ფერად კენჭებზე. ცისა და ზღვის დასალიერთან თეთრი იალქანი კრთის.

დიად, მშვიდი, ბედნიერი დღეებისათვის იბრძოდნენ ისინი. ფუცუბე, საყვარელი საქმის გამარჯვების შემდეგ, არანაკლები კეთილშობილური გზა აირჩია — მოსაზრდი თაობის აღზრდის საქმეს მიუძღვნა თავისი გული და ენერჯია. ამ მსრბე მისი გამოცდილება მეტად მდიდარი იყო: ჯერ კიდევ 1909 წელს ახალსენაკში საკუთარ სახსრებით გახსნა ქალთა პროგიმნაზია. ასწავლიდა თბილისში, სოხუმში, დაწყებითი სკოლა დააარსა ქმრის მშობლიურ სოფელ ხორშში (ცხაპაის რაიონი)... შემდეგ ქუთაისის ა. წუ-

ლუკიძის სახელობის საბავშვო სახლი, კვლავ თბილისი, მშობლიური სოფელი დანირი (სამტრედიის რაიონი) და მხოლოდ 1943 წელს მიატოვა საყვარელი საქმე, პედაგოგიური სარბიელი. მთავრობამ მას პერსონალური პენსია დაუნიშნა.

დღეს ფუცუ დგებუაძე-ფულარიას იცნობენ როგორც შესანიშნავ მწერალ ქალს, იცნობენ მის მშვენიერ მოთხრობებსა და ნოველებს: „შრომის ძალა“, „ქალის გული“, „მოჩნუბარძის სიკვდილი“, „დამლა“, „გრძნობათა ნანგრევებზე“, „ქეთვან წამებული“, „მარიამ ბატონიშვილი“ და მრავალი სხვა. ფუცუ დგებუაძე-ფულარია ავტორია ორი დიდიტანიანი რომანისა: „ტყვარჩელის ლამპიონები“ და „ოქროს ბეჭედი“. პირველი მათგანი ასახავს ჩვენი ინდუსტრიული ქალაქის — ტყვარჩელის მშრომელთა გმირულ საქმეებს; „ოქროს ბეჭედი“ კი ისტორიულ ქარგაზე აგებული ნაწარმოებია. ამ რომანით მკითხველი ეცნობა გასული საუკუნის ყოფას, ადამიანებს. განსაკუთრებით ხიბლავს მას რომანის გმირის მაიას მტკიცე ხასიათი, გაჭირვებაში წარბშეუბრელობა, საყვარულის ერთგულება... თავად მსცოვანი მწერალი ქალი თითქოს რაღაცით გვაგონებს მაიას. არ შეიძლება ერთხელ იხილოთ ეს თეთრთმიანი ქალი და მერე დაივიწყოთ. მისი საუბარი, გულისხმიერება, სითბო, ცხოვრებისეული გამოცდილება დიდ შთაბეჭდილებას ახდენს ადამიანზე.

ნაზი კილაზონია.

ქურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქცია ულოცავს საყვარელ მწერალ ქალს მისი ცხოვრების ამ მშვენიერ თარიღს — 80 წელს, და სულითა და გულით უსურვებს ხანგრძლივ სიცოცხლეს, წარმატებას საზოგადოებრივსა და ლიტერატურულ სარბიელზე, ბედნიერებას პირად ცხოვრებაში.



# ისპოლიტექნიკური განვითარება

დედამიწაზე ბერია ისეთი ქალაქი თუ სოფელი, რომელთა სახელები, მეორე მსოფლიო ომის დღეებიდან, კაცობრიობის მეხსიერებას შემორჩა, როგორც ადამიანთა ტანჯვა-წამების, აოხრებისა და გაპარტახების სიმბოლო. მათ რიცხვშია მეშახტეთა პატარა ჩეხური სოფელი ლიდიცეც.

1942 წლის ზაფხული იყო. მაშინ ჩეხოსლოვაკიაში პიტლერეთი ფაშისტები პარაშუბდნენ. გაწამებული ჩეხი პატრიოტების ჯგუფი თავს დაესხა ნაცისტების „პროტექტორს“ ჰეიდრიხს. ნაცისტებმა დაუსაბუთებელი ეგვიპიიტანეს ლიდიცეს მცხოვრებლებზე, თითქოს ისინი თავდასხმელებს ეხმარებოდნენ. და აი, 1942 წლის 10 ივნისს, გამთენიისხანს ისინი შეიჭრნენ მძინარე სოფელში. დახვრიტეს ყველა მამაკაცი — 15 წლის ასაკიდან ღრმა მოხუცამდე; ქალები რავენსბრუკის საკონცენტრაციო ბანაკში გარეკეს; ე. წ. „გერმანული“ ტიპის ბავშვები გერმანიაში გაგზავნეს, დანარჩენები კი ჰელმის საკონცენტრაციო ბანაკში მიიყვანეს და გაზის კამერაში ამოახრჩვეს (104 ლიდიცელი ბავშვიდან მხოლოდ 18 გადარჩა); სოფელი მიწასთან გაასწორეს, ხოლო მისი სახელი რუკიდან წაშალეს.

მას შემდეგ 25 წელი გავიდა. ვერ შეისრულეს ფაშისტებმა საწადელი — ვერ გააქრეს ადამიანთა მეხსიერებაში ლიდიცეს ხსოვნა პირიქით, მსოფლიოსათვის ეს პატარა ჩეხური სოფელი იქცა ფაშისმის წინააღმდეგ, თავისუფლებისა და სიცოცხლისათვის ბრძოლის სიმბოლოდ.

ფაშისმის განადგურების შემდეგ, საკონცენტრაციო ბანაკიდან დაბრუნებულ ლიდიცელ ქალებს თავიანთი სოფლის ადგილას უდაბნო დახვდათ, მხოლოდ მისასვლელთან აღმართული წარწერა და წითელარმიელების მიერ დადგმული ძეგლი მაინიშნებდა, რომ აქ ერთ დროს აყვავებული სოფელი იყო.

მაგრამ ლიდიცე კვლავ გაცოცხლდა, აღდგა უფრო ლამაზი და მშვენიერი. მის აღდგენაში მონაწილეობდნენ მთელი ჩეხოსლოვაკიის მშრომელები, მონაწილეობდნენ სხვა ქვეყნების მშრომელებიც. ინგლისელმა მეშახტეებმა მოწოდებით მიმართეს მთელი ანტიფაშისტური მსოფლიოს მეშახტეებს და ეწვებინათ ლიდიცეს აღსადგენი ფონდი და



გერმანიაში გარეკლ ბავშვთა ამ ჯგუფებიდან მხოლოდ მვიდელი დაბრუნდა სამშობლოში.



ამ ფონდში პირველებმა შეიტანეს სახსრები. გადარჩენილ ლიდიცელებს სოლიდარობასა და სიყვარულს უცხადებდნენ მსოფლიოს მშრომელები, სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში ლიდიცეს სახელს არქმევდნენ ქალაქებს, სოფლებს, ქუჩებს, მოედნებს, პარკებს. კუბაში, პანამაში, ბრაზილიაში, ურუგვაიში ლიდიცეს არქმევდნენ ახალშობილ გოგონებს.

ახლა ლიდიცეში ჰყავის მეგობრობისა და

მშვიდობის ბაღი. ამ ბაღს საფუძველი ჩაეუარა 1955 წლის 19 ივნისს. ბაღში ხარობს მსოფლიოს ყველა კუთხიდან გამოგზავნილი ვარდები — მეგობრობისა და მშვიდობის ვარდები. აღდგენილ ლიდიცეს ნახულობენ ყველა ეროვნების ადამიანები. სიმბოლოდ იქცა ლიდიცეს სახელი. იგი სიფხიზლისაკენ მოუწოდებს კაცობრიობას: აღარ დაუშვან ძალმომრეობა და სისხლისღვრა, ნგრევა და განადგურება.



# რვენი საოჯახო ქრეში

## სამედიცინო საბავშვო პედიატრიული ცენტრი

ბავშვის მოვლა და კვება დაბადების პირველ დღეებიდანვე განსაკუთრებულ სიზუსტეს მოითხოვს. ადრევე უნდა დადგინდეს ძუძუს მიცემის ხანგრძლიობა და სიხშირე, ახალშობილის კანისა და ლორწოვანას მოვლისა და ჩაბანვის წესი და მრავალი სხვა წერილობრივი საკითხები, რადგან მათ წესიერ შესრულებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ბავშვის ნორმალური განვითარებისათვის.

პირველი და აუცილებელი პირობა ახალშობილის ნორმალური განვითარებისათვის გახლავთ დედის რძით კვება. სამწუხაროდ, უკანასკნელ ხანებში, ყოველწლიურად მატულობს პირველ თვიდანვე შერეულ და ხელოვნურ კვებაზე გადაყვანილ ახალშობილთა რიცხვი. ამას იმით ხსნიან, თითქოს ჩვენს ქალებს სარძეო ჯირკვლის თანდაყოლილი ფუნქციური უქმარობა ახასიათებთ. ეს აზრი საფუძველს მოკლებულია: თუ ორგანიზმს ძალუძს შექმნას საუკეთესო პირობები ორსულობის მიმდინარეობისა და ნაყოფის განვითარებისათვის, მაშინ რძის გამოღმევა უნაროც უნდა ჰქონდეს. ეს ურყევი ფიზიოლოგიური კანონია. რძის უქმარისობა და სარძეო ჯირკვალთა ფუნქციური ნაკლოვანება კი პირველ დღეებში ძუძუს წოვის პროცესში დაშვებული შეცდომების შედეგია. პირველშობიარე ახალგაზრდა ქალმა ახალშობილს ძუძუ უნდა მისცეს რაც შეიძლება ადრე და ხშირად (საჭირო ინტერვალების დაღწევა) რადგან ასეთი ხშირი ფალიაზიანებით და სარძეო ჯირკვლის სრული გამოკაროვლებით შესძლებს მის სათანადოდ ამოქმედებას და რძის საკმაო რაოდენობით გამოყოფას (რასაკვირველია, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ზოგიერთი დაბრკოლებანიც, როგორცაა: ნაადრევი შობიარობა, თანდაყოლილი სისუსტე, სამშობიარო ტრავმები და

სხვა, როდესაც ბავშვს არ შეუძლია სრულყოფილი წოვა, მალე იღლება და ძუძუს თავს ანებებს, ასეთ შემთხვევაში, სამშობიარო სახლის სამედიცინო პერსონალმა დედას დახმარება უნდა გაუწიოს სარძეო ჯირკვლის გამოწვევით და ახალშობილის ქალის რძით სრული დაკმაყოფილებით).

მშობიარობის განხილვის დროს და კვილარის დროებითი დახმარების შედეგად, შესაძლოა, ბავშვმა მომშობიარებამდე ჩაისუნთქოს, რასაც მოსდევს სანაყოფო წყლებას შესუნთქვა და ზოგჯერ გადაუღავც, რაც კუჭ-ნაწლავის დაავადების საშიშროებას უქადის ახალშობილს. ამიტომ, ყოველ საკუ-

ვო შემთხვევაში საჭიროა სათანადო მკურნალობის ჩატარება.

ახალშობილთა ლორწოვანა და კანი მეტად ნაზი და უმწიფარია, რის გამოც იგი მიკრობებისათვის გამავალია. მიკრობები ჩვენს ირგვლივ ძალიან ბევრია და დიდ საშიშროებას წარმოადგენს ახალშობილთათვის. სწორედ ამიტომ სამშობიარო სახლებში ატარებენ ბავშვის თეთრეულის სტერილიზაციას, სახლში კი გარეცხილ თეთრეულს გამოხარშავენ და ორმხრივ აუთოვებენ. გარდა ამისა, დედა და, საერთოდ, ჩვილი ბავშვის მომვლელი ბავშვთან მისვლის წინ სპანით უნდა იბანდეს ხელებს, დროულად უცვლიდეს ბავშვს თეთრეულს, წესიერად აწარმოებდეს ბავშვის ჩაბანვას, გამშრალებას და შეხვევას. ბავშვის სწორი შეხვევა გახლავთ მისი მოსვენება, წყნარი ძილი, საკვების წესიერი მონელება და ნერვული სისტემის ნორმული გაწყობა. ჩვილი ბავშვის ნერვული სისტემის ფუნქციური მდგომარეობას, მის ძილფხიზლობის წესიერ ცვალებადობას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო გარემოს სწორი აღქმისა და ჩვევების გამოღმევაში, არამედ მის საბავშვო რეაქციითა ინტენსივობაში, დროულ შეკვებაში და, რაც მთავარია, მისი, როგორც საზოგადოების მომავალი წევრის, ხასიათის ჩამოყალიბებაში. ბავშვის ნერვული სისტემის ნორმალური განვითარებისათვის გადაუმწყვეტი მნიშვნელობა აქვს კუჭ-ნაწლავთა არბის ნერვულ დაბოლოებათა ფუნქციური მდგომარეობას პირველი წლის მანძილზე, რადგან ეს სისტემა ამ პერიოდში შესაფერისად მოქმედებს. ისეთი ფუნქციური დატვირთვა, როგორც მოელოება საკმლის მომწველელ სისტემას, არა აქვს არც ერთ ორგანიზმს. რადგან ბავშვი პირველი წლის მანძილზე ასამკეცებს წონას (დაბადებისას


იწონის 3.200 გრ. წლის ბოლოს კი 9.500 გრ), ასეთი დიდი დატვირთვისას, რასაკვირველია, საჭიროა საკვების მეტად წესიერი მიწოდება როგორც რაოდენობის, ისე ხარისხის მხრივ, რადგან სულ მცირე გადახრებამაც შეიძლება გამოიწვიოს კუჭ-ნაწლავთა აშლილობა. ახალშობილობის პერიოდში განსაკუთრებით საშიშია ტკბილი წყლის (ან გლუკოზის) წარამარა მიცემა.

მშობიარობის პირველ დღეებში ახალშობილი რძეს მცირე რაოდენობით იღებს, რადგან დედის სარძეო ჯირკვლებში რძე თანდათან გამოღმევა და საკმარის რაოდენობას ხშირად მხოლოდ 5-6 დღეზე აღწევს,

ამიტომ პირველ დღეებში ბავშვი წონაში კლებულობს, შრება და ამას ზოგჯერ ტემპერატურის აწევაც მოსდევს. ამ დანავლისას ასანაზღაურებლად ბავშვს დაბადებიდანვე წყალი უნდა მიეცეს (დღე-ღამეში ერთი ჩაის კიჭა). წყალთან ერთად ხშირად ხმარობენ შაქარს, მაგრამ შაქრითი წყალი, როგორც საკვები, ძუძუთი კვების საათებში უნდა მიეცეს და არა კვებათა შორის შეკვებებში და, მითუმეტეს, ღამით. შაქრის ხშირი მიცემა დღე-ღამის მანძილზე, მეტად ხელსაყრელ პირობებს ქმნის დღეილის გამომწვევ მიკრობთა ჩასახლებისა და გამრავლებისათვის. ზოგჯერ ბავშვები ასეთ დატვირთვას სამშობიარო სახლში ყოფნის პერიოდში იტანენ, მაგრამ თუ სახლშიც ვაგარძელდა, ხშირად იწყებენ ექიმთან მიმართებას, წუხილს აირების განვითარების გამო. ამას მოსდევს სპაზმური ტკივილები, რასაც ბავშვი გვაგრძნობინებს გაბმული ტირილით, ფეხების მოძრაობით და ერთმანეთზე ხახუნით, შემდეგ — პერიოდული პირსაქმებით და ბოლოს — ნაწლავთა აშლილობით. რასაკვირველია, ასეთ შემთხვევაში ბავშვი ვეღარ მატულობს წონაში, პირიქით, ხშირად იკლებს კიდეც. კუჭ-ნაწლავთა ასეთრევე აშლილობა მოსდევს ძუძუთი წირო კვებასაც და, განსაკუთრებით, ღამით კვებას, რაც ზედმიწევნით ტვირთავს კუჭ-ნაწლავის ტრაქტს და შეუძლებელს ხდის მიღებული ულუფის მონელებას.

როგორც ხედავთ, ჩვილ ბავშვთა კვებასა და მოვლას გარკვეული მნიშვნელობა აქვს მისი ჯანმრთელობისა და განვითარებისათვის. ამიტომ ბავშვთან დაკავშირებული ყოველი საკითხი მოფიქრებული და შეთანხმებული უნდა იყოს ბავშვთა ექიმთან.

პროფესორი ირაკლი რხინიძე



# უკუღრუნი სასუილო ნასუქას!

ჩაგხედავთ თუ არა სახატავ რვეულში, რომელსაც სასწავლო წიგნებთან ერთად ატარებს ჩანთაში თქვენი შვილი? როგორ გგონიათ, საჭიროა თუ არა მშობლებმა ყურადღება მიაქციონ ისეთ საგანს, როგორიც არის ხატვა?

მინდა გირჩიოთ: აუცილებლად საჭიროა! ნაწყვეტები, რომელსაც არიანდა ეუკოვას წიგნიდან გადმოქართულებულს მოგაწვდით, გაგარკვევთ, როგორ შეგიძლიათ დაეხმაროთ თქვენს გოგონებსა და ბიჭებს, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ხატვა სრულებით არ გეხებოდათ. გვერწმუნეთ, რომ რა პროფესიაც არ უნდა აირჩიოს მომავალში თქვენმა შვილმა, ხატვა ყოველთვის დიდ დახმარებას გაუწევს. ჩვენი მხრიდან კი მოვალენი ვართ დავეხმაროთ მოსწავლეებს გარემო სილამაზის ესთეტიკურ აღქმაში, შევასწავლოთ გრაფიკული ანბანი, შევავაზოთ ხელოვნება და განვუვითაროთ გემოვნება და შემოქმედების უნარი. აი, ამ ოთხი ამოცანის გადასაჭრელად ისწავლება სახეითი ხელოვნება სკოლებში.

ხატვას სერიოზულ და საჭირო მეცადინეობად ოჯახში არავინ თვლის: ხატოს სანამ პატარაა, გასართობია გასართობთა შორის და მეტი არაფერი.

მშობელი ბავშვს აძლევს ქაღალდს და ფერად ფანქრებს იმისათვის, რომ წყნარად იჯდეს, არავინ შეაწუხოს და ოჯახშიც სიმშვიდე და სისუფთავე იყოს. ბავშვი ხატავს ბეჭითად და გატაცებით, ქაღალდებს ავსებს სხვადასხვა ნახაზებით და კლანილებით და ამ ნაქრებში ნათლად ხედავს ჩაფიქრებულ საგანს. მას გარკვეული აქვს, რას ხატავს, მშობლებს კი დახატულის არა გაეგებათ რა.

აი, რას წერს ფრანგი მწერალი და მფრინავი ანტუან დე სენტ-ეგვიუპერი შესანიშნავ ზღაპარში — „პატარა უფლისწული“: ექვსი წლის რომ ვიყავი, ერთ წიგნში, რომელშიც უღრან ტყეებზე იყო ლაპარაკი და რომელსაც „ნამდვილი ამბავი“ ერქვა, ერთ შესანიშნავ ნახატს წვაწყდი — მახრჩობელა გველი რომელიღაც ნადირს ყლაპავდა. წიგნში ეწერა: მახრჩობელა გველები თავიანთ მსხვერპლს მთლიანად, დაუღუპავად ყლაპავენ, ამის შემდეგ მათ განძრევის თავიც არა აქვს და ექვსი თვე ძინავთ, რომ საკმელი მოინელონო.

მე ძალიან ბევრს ვფიქრობდი ჭუნგლების ხიფათით აღსავსე ცხოვრებაზე და ფერადი ფანქრებით სურათი დავხატე. ჩემი „შეღვერი“ დიდებს ვუჩვენე და ვკითხე — თუ

შეგეშინდათ-მეთქი. „განა ქული საშიშია?“ — მომიგეს მათ. მაგრამ ჩემი ნახატი ქული არ იყო. ეს გახლდათ მახრჩობელა გველი, რომელიც გადაყლაპულ სპილოს ინელებდა. და მაშინ მე შეგინდანი დავხატე მახრჩობელა გველი, რომ დიდებს ნათლად დაენახათ ყველაფერი — მათ ხომ ყველაფერი უნდა აუხსნას კაცმა! დიდებმა მიჩიქეს, ხელი ამელო მახრჩობელა გველების ხატვებზე, შეგინდანი იქნებოდა თუ გარედან, და მეტი გულისყურით მოვიკიდებოდი გეოგრაფიის, ისტორიის, არითმეტიკის და გრამატიკის. ამიტომ იყო, რომ ექვსი წლის ასაკში უარი ვთქვი მხატვრის ბრწყინვალე კარიერაზე. ნახატების უგულვებელყოფამ გული გამოიტეხა. დიდებს რომ არაფრის ვაგება არ შეუძლიათ სხვების დაუხმარებლად? ბავშვებისათვის კი ძალიან მომქანცველია ყოველთვის წინასწარ აუხსნას მათ ყველაფერი. ამრიგად, იძულებული გავხდი სხვა პროფესია ამერჩია...

ეგვიუპერი ხუმრობს, მაგრამ ცხოვრებაშიც ასევე ხდება ხოლმე.

ბებია ოთხი წლის ბუთხუზა ბიჭუნას ეკითხება:

— რა დახატე? — თან ძალიან დაკვირვებით აფელაღერებს ნახატს, მაგრამ უსწორმასწორო ფერადი ხაზების მეტს ვერაფერს არჩევს.

— თევი, — პასუხობს ბიჭუნა.

— ეს? — მეორე ნახატზე ეკითხება ბებია.

ბიჭი გაოცებული უყურებს ბებიას და ფიქრობს: ნუთუ სათვალეებითაც ვერ ხედავს? და პასუხობს:

— ეს მანქანა.

ბებია ნახატებს მეორე მხრიდან ასათურებს და ინახავს. გადის ხანი. ბებია ისევ ეკითხება, რა დახატე ამ ფურცლებზეო.

— ეს თევია, ეს მანქანა, — არ ეშლება ბიჭუნას და იგი ოცნებაში ხედავს მდინარის სიღრმეში მოსრიალე თევზებს და ლაპლაპა ავტომანქანას.

სალამოა. ოთახში სიწყნარაა. ყველა მის საყვარელ საქმეს მისცემია. თქვენც უზიხართ საწერ მაგიდას და კითხულობთ. ბავშვი კი თქვენს ახლო ხატვას სადებავით. ხშირად გადახედავთ, ხომ არ დაისვარა ტანსაცმელი, ან წყალი ხომ არ დაღვარა იატაკზე, რწმუნდებით, რომ ყველაფერი რიგზეა და განაგრძობთ კითხვას, გადის დრო. ნახატი დამთავრებულია.

ბავშვი აღტაცებული მობრბის თქვენთან

და ნახატს გაწვდით. — ვერაფერი ვერ გავიგე, — გაკვირვებული უყურებთ ნახატს. ბიჭუნა შეურაცხყოფილია.

— როგორ არ ხედავ, მამიკო, — ეს ომია, აი, მდინარე — მეზღაურს ხელში ყუმბარა უჭირავს. არაფრის ეშინია. მეზღაურები სულ შეიარაღებულები დადიან. ეს მე კინოში ვნახე. ხომ მოგწონს?

თქვენ კი დაუფიქრებლად პასუხობთ: — არა, — და იქვე დასძინდა, რომ ის დიდი ბიჭია, ტყუილად აცდენს დროს, რომ მისგან მხატვარი არ გამოვა, რადგან ნიჭი სულ არა აქვს. რომ მის ნახატში მეზღაურის საზამთროს უფრო ჰგავს, ვიდრე ადამიანს და სხვა.

ბავშვი გულმოკლულია, ცრემლიანი თვალებით ნახატს მისჩერებია.

ამ დროს შემოდის მეზობელი (სწორედ დროზე!). ბიჭუნას თვალზე ცრემლს ვერ ამჩნევს, უვლის ოთახს, ნახატს აღტაცებული აქნევს და ყვირის: — ღმერთო ჩემო, აი, უშუალობა! აი, ფერების გრძნობა: მეზღაურის ყვითელი სახე ცისფერ ფონზე, თეთრი ქაფქაფა ტალღები მწვანე მდინარეზე! რა დინამიკაა. ჩემო პატარა ბიჭუნა, შენ დიდი მხატვარი ხარ! აი, ვისგან უნდა ვისწავლოთ კომპოზიციის, რიტმის და დეკორატიულობის გრძნობა დიდებმა!

ხმაურობს, ხმაურობს და გადის. დაწყნარდა ყველაფერი, მაგრამ ბავშვი დაბნეულია. ვერა გაუგებარა. ის საწიგნეს იღებს და დასაძინებლად მიდის. მაგიდაზე კი რჩება ყველასგან მივიწყებული მისი ნახატი.

ამ ორ ადამიანს ვერ წარმოუდგენია, რა ჩაიდინეს თავისი დაუფიქრებელი მოქმედებით, როგორ დააშორეს ბავშვი თავის საყვარელ საქმიანობას, მხიარულ, გააზრებულ ნახატს. ის სიზმარშიც თავის საყვარელ გვირგვინს ხედავს, მეზღაურებს, კოსმონავტებს, ბრძოლის ეპიზოდებს, მამაც მონადირეებს, ჩიტებს, ტყის ბინადრებს, მაგრამ მეორედღეს, როგორც კი ფანქარს ხელს მოკიდებს, მოაგონდება წუხანდელი ნათქვამი, სახატავს მიატოვებს და თავისი ნებით ხატვას აწი ის უკვე აღარასოდეს მიუბრუნდება.

რად ჩაიდინეთ ეს? რატომ წაახტებთ ის თავის საყვარელ ნახატს? ის, რაშიც თქვენ ვერ გაერკვივით დაუფიქრებელი შეფასების დროს, მხოლოდ გრაფიკული ანბანის უვიცობა იყო და მეტი არაფერი. გრაფიკული ანბანი — აი, რა არის პირველი რიგში, საჭირო ხატვის შესასწავლად.

# ნელსონი ნოქსი

...თუ სამი-ოთხი წლის გოგონამ ვერ გამოთქვა სწორად სიტყვა, ან ასო ხ-ს წერისას ხაზი მარჯვენა მხრიდან გაუკეთა, მშობლებს ეს არ გაცივრებთ, მოთმინებით უსწორებთ და თავს იმშვიდებთ, რომ ბავშვი მომავალში ისწავლის ლამაზ წერას, ან სიტყვების სწორ გამოთქმას. მაგრამ თუ პატარამ ხატვისას ცაქუნას ხელი მოკლე დაუხატა ან თავი ტანზე კისრის გარეშე მოაბა, ის თქვენს დადინებას და შენიშვნებს იღებს და გულ-ატრუბებას ხატვის ატოვებს, ცდილობს, სხვა რამეში გამოიჩინოს თავი: ბეჭთ მუცალინეობაში, კითხვაში, ცურვაში, ტანვარჯიშში, და თუ ოდესმე მშობლებს დრო გექნათ და კვირადღეს ბავშვი მუხუხუში წაიყვანეთ, ის უყურებს ხელოვნების ნიმუშებს, როგორც შორეულს, მიუღწევებს, უსაზღვროდ ლამაზს და საოცრად მიმზიდველს, უყურებს მხოლოდ ზერეულ და შეუძლებელ მიზანს ჩასწვდის ხაზის, ფერის, რიტმის და კომპოზიციის საიდუმლოებას. თუ თქვენი გოგონა აზრს სწორად არ გამოთქვამს, თქვენ არ ეუბნებით: ჭერ გამატიკა ისწავლე და შემდეგ ილაპარაკო. მაგრამ თუ ცხენი დახატა და რაღაც სხვა ცხოველს დაამსგავსა, ან ცაცხატვისას ხელი არ მოაბა და ხელების მაგივრად ჯოხები ჩამოუსვა, ერთხელ ეტყვი: „ცუდია“, „არა ჰგავს“, „ეს რა დაგიხატა?“ და მორჩა, ყველაფერი გათავებულა!

მაგრამ იცით თუ არა, მშობლებო, რომ ყველაფრის დახატვა ისე, როგორც სინამდვილეშია, ძალიან ძნელი და რთული ამოცანაა, თანაც ეს არაა ხელოვნების ერთადერთი მიზანი. ხელოვნებაში უძველესი დროიდან დღევანდლამდე არის ლეგენდები მხატვრებზე, რომლებიც ტილოზე საგნებს ისე ამსგავსებენ, რომ ხელის მოკიდება მოგინდებათ. ეს ოსტატობის უმაღლესი წერტილია, შედეგი ხელის გაწაფვის, ლოგიკური აზროვნების, ნახატის პირობითობისა და კანონების ღრმა ცოდნისა. ბავშვისათვის კი, რა ყარგადაც არ უნდა ხატავდეს, ეს ყველაფერი ჭერჯერობით მიუღწევია. უმეტეს შემთხვევაში პედაგოგები ვერ ვაწვდიან დაწყებით კლასებში ხატვის საფუძვლების სწორ ელემენტარულ ცოდნას და ბავშვი სახატავად რომ დაჭდება, არ გამოუღის: ის უხუსურია ფორმისა და პროპორციების ძიებისას.

„ხატვა არ არის აუცილებელი.“ — „ხატვის არცოდნა დასაშვებია“, — ასე ფიქრობენ უფროსები და როდესაც მხატვარი — სპეციალისტი კლასში შედის, მას არასასურველი სურათი ხვდება. ხატვა ძალიან ცოტას აინტერესებს. ყოველი მეორე მოსწავლე გაიძახის:

— ხატვის ნიჭი არა მაქვს, მასწავლებელო! ან რაში გამომადგება, მე ინჟინერი უნდა გამოვიდე...

მაგრამ ეს სწორი არაა. ძვირფასო მშობლებო, მოეხმარეთ თქვენს შვილებს და მათ სასაცილო ნახატებს!

გადმოაქართულა ელენე გორგაძე

„ნაოქები“. რა უსიამოვნო სიტყვაა! რა მწარედ გვახსენებს იმას, რომ ახალგაზრდობა ვადის და თან მიჰყვება სილამაზე, სინორჩე. მაგრამ ხშირად ისეც ხდება, რომ ქალი თავის ასაკზე უფრო ხნიერად გამოიყურება, ტოლებზე ადრე ჰკნება. უფრო ხშირად, ნაადრევ ნაოქებს საკუთარი ქანმოთქოლისადმი დაუდევარი დამოკიდებულება, სახის კანის არასწორი მოვლა იწვევს.

აღამიანს თავისი სიჯანსაღე თათქოს სახეზე აწერია. და პირიქით, შეუძლოდ ყოფნა, უძილობა, გადაღლა, ჰაერზე ნაკლებად ყოფნა, ცხოვრების არასწორი რეჟიმი, პაპიროსის წევა გავლენას ახდენს კანზე, ის ფერმკრთალებს, ღუნდება. ნაოქების გაჩენას ზოგიერთი მავნე ჩვევაც უწყობს ხელს. მაგალითად, ზოგი ლაპარაკის დროს წარბებს წევს და შუბლი ეკეცება, ზოგი დამცინავად ტუჩის კუთხეებს დაბლა ბრაცავს და ცხვირიდან ტუჩებისაკენ ნაოქი უღრმავდება, თვალუბნა ხშირი მოჭუტვა თვალის კუთხეებთან „ბატიფეხური“ ნაოქების გაჩენას იწვევს...



მართალია, ნიღაბებით გაუნძრეველი სახე უსიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს, მომხიბლავი მიმიკა და სიცოცხლი ყველას უხვდება, მაგრამ მანკვა — არავის. თვალები რომ არ მოჭუტოთ, მუქი სათვალე უნდა ატაროთ, გადაეჩვიეთ შუბლის კმუნასს, წარბეჯას კვიბას.

ეს, ასე ვთქვათ, ზოგადი საშუალებებია, მაგრამ კანი, ამის გარდა, სპეციალურ მოვლასაც მოითხოვს. რა თქმა უნდა, მწრომელ ქალებს იმის დრო არ გექნებათ, რომ მთელი დღე სარკის წინ გაატაროთ, მაგრამ ათი-თხუთმეტი წუთი თავის მოსავლელად ყველას შეუძლია გამოიძინოს. მთავარია, ვიცოდეთ ჩვენი კანის თავისებურებანი და

სწორად გამოვიყენოთ კოსმეტიკური საშუალებები.

სახის კანი აღამიანებს სულ სხვადასხვა ნაირი აქეთ და მოვლაც მას სხვადასხვაგვარი სჭირდება. განსაკუთრებული მიდრეკილება აქვს ნაოქებისადმი მშრალ კანს: ის ნაზია, სიფრიფანა და თუ არ მოვუარეთ, მალე ჰკნება. ახალგაზრდობაში ეს კანი მშვენიერია, მაგრამ წყალს და საპონს ვერ იტანს, იჭერცლება და მასზე ადრე ჩნდება მიმიკური ნაოქები. ასეთ კანს გაფრთხილება ადრევე, 18-20 წლიდან სჭირდება. საპნის პირის დაბანა კვირაში მხოლოდ ერთხელ შეიძლება. საპნის უნდა იყოს კარბონიანი („სპერმაცეტოვი“, „კოსმეტიკოვი“, „ლიუბიმოვი“, „კოკოსოვი“ და სხვა). მტვერი და ჭუჭყი ყოველ საღამოს მოიცლიეთ შემთხარ ზეთში დასველებული ბამბის ტამპონით. თუ კანი ძალიან მშრალი არაა, ზეთი შეიძლება ლოსიონებითა და თხევადი კრემებით შეცვალოთ (მაგალითად, „უტრო“, „ბარსბანი“, „მინდალნოე მოლოკო“, „რასსეტი“).

ძალიან კარგია სახის გაწმენდა რძით, კიდე უფრო კარგი — სამი დღის მანქნით. ვაწმენდის შემდეგ სახეზე უნდა წაიციხოთ რომელიმე მკვებავი კრემი (მაღაზებში იყიდება მაღალხარისხოვანი კრემები, როგორცაა „ინტარი“, „სპერმაცეტოვი“, „კოსტორაგი“, „ალექსი“, „ალოე“, „ტრემბიტა“. „მედოვი“ და სხვა), კრემი ბამბის სველი ტამპონით უნდა აილოთ და მსუბუქად, დარტყმითი მოძრაობით შეიზილოთ კანში ისე, როგორც ზემოთ. ნახატზეა ნაჩვენები. ამ დროს კანი არ უნდა დაიკიმოს და გადაადგილდეს.

დილით სახე ცივი წყლით უნდა დაიბანოთ. თუ ძალიან მშრალი კანი გაქვთ, უმჯობესი იქნება რძით გაზავებული ანადუღარი წყლით დაბანა (3/4 ჭიქა წყალი და 1/4 ჭიქა რძე), დაბანის შემდეგ გაუმშრალეგლ სახეზე კრემი წაიციხეთ და შემდეგ პირსახოკით ფრთხილად მოიშორეთ ზედმეტი სისველე. მერე, თუ გსურთ, პუდრო გადაისკიეთ.

ვისაც კორფლის ან პიგმენტური ლაქების გაჩენისა ეშინია, სახლიდან გამოსვლის წინ წაიციხეთ მზისგან დამცველი კრემი „ლუჩი“, შემდეგ კი პუდრო გადაისკიეთ, რომელშიც 10 პროცენტზე დასაყალი სალოლი ან ქინაქინა იქნება არეული.

კანის მოვლის ერთერთი საუკეთესო საშუალებაა მკვებავი ნიღბები (ამის შესახებ ჩვენ დაწერილებით გესაუბრეთ ჟურნალის წინა ნომერში — რედ.).

ცხიმიან კანს სულ სხვაგვარი მოვლა სჭირდება. ის უფრო უხეშია, პრიალებს, ფორე-

ბი გავანერებულ აქვს, ცხვირთან და ნი-  
კაპზე შავი წერტილები — ფეროქამელები  
ამჩნევია. ამგვარი კანი არც ისე ლამაზია,  
მაგრამ ნაკლებ ჰკნება და უფრო დიდხანს  
ინარჩუნებს სიხალგაზრდავეს. თუმცა ნაოჭე-  
ბისაგან არც ცხვირის კანი დაზღვეული,  
რადგან თვალის ირგვლივ კანი ყოველ-  
თვის მშრალი და ნაზია და თუ გულმოდ-  
გინედ არ მოუუარეთ, სწორედ აქ ჩნდება  
ნაოჭები.

დაძინების წინ სახე აუცილებლად უნ-  
და გაიწმინდოთ, მოიცილოთ პუდრის ნარ-  
ჩენები. საღამოს პროცედურები ყოველგვარ  
კანს ერთნაირად სჭირდება. კარგად წმინდავს  
ცხვირის კანს სპეციალური ლოსიონები:  
„უტრო“, „რიესკი“, „სტარტი“, „არკტიკა“,  
„აელრატა“. დილით სახე დაიბანეთ საპნით  
(„გლიცერინოვოე“, „ბორნოტიმოლოვოე“,  
„კამფაროე“), შემდეგ რბილი პირსახო-  
ცით შეიმშრალეთ და წაისვით მკვებავი  
კრემები: „იდეალი“, „მასკა“, „ულიბკა“,  
„ლოტოსი“, „ლენინგრადსკი“. თვალის ირგვ-  
ლივ კი წაისვით მშრალი ან ნორმალური კა-  
ნისათვის განკუთვნილი რომელიმე კრემი  
(რომლებიც ჩვენ ადრე ჩამოვთვალეთ).

ძალიან ხშირ შემთხვევაში კანი შერეუ-  
ლია: შუბლზე, ნიკაპსა და ცხვირის მიდ-  
მოებში ცხიმოვანია, ფორებიანი, ლოყებზე  
კი — მშრალი. ამ შემთხვევაში სახის სხვა-  
დასხვა ნაკვეთებს სხვადასხვანაირი მოვლა  
სჭირდება.

ყოველდღიური მოვლა ამკვრივებს, ელას-  
ტიურს ხდის კანს და აგვიანებს მის ჰკნობას.

ექიმი კოსმეტოლოგი **ლ. რალოვსკაია**.

# სახე ცხვირზე

## ჩიის ნაყინი

3 კვერცხის გულს შევეურიოთ 1 1/4 ჩაის  
ჭიქა შაქრის ფხვნილი და კარგად ავთქვი-  
ფოთ. დავემატოთ ცოტა ვანილი. მიღებუ-  
ლი მასა გავხსნათ 3 ჩაის ჭიქა თბილ რძე-  
ში. შევდგათ ნელ ცეცხლზე და განუწყვეტ-  
ლივ ვურიოთ. 5 წუთის შემდეგ შევეურიოთ  
1 ჩაის კოვზი კარტოფილის ფქვილი, გახს-  
ნილი 2 სუფრის კოვზ წყალში. ცეცხლზე  
გავაჩეროთ, სანამ თავზე მომდგარი ქაფი  
არ გაქრება. მასა არ უნდა ადუღდეს. გავა-  
ციოთ, შემდეგ კარგად ავთქვიფოთ, ჩა-  
ვასხათ ფორმებში და შევდგათ მაცივარში  
რამდენიმე საათით.

## ხილის ნაყინი

ნახევარი კილო ახალი ხილი (მარწყვი,  
ხენდრო, გარგარი, ალუბალი) კარგად გავ-  
რეცხოთ, მოვამოროთ კურკა, გავხეხოთ სა-  
ცერზე ან სახეხზე. მიღებული მასა შევდგათ  
მაცივარში. საცერზე დარჩენილ ვახეხილ  
ხილს დავასხათ 3/4 ჩაის ჭიქა მდუღარე  
წყალი. გავწუროთ, დავემატოთ ნახევარი  
ჭიქა შაქრის ფხვნილი, 1 ჩაის კოვზი ე-  
ლატინი, შევდგათ ნელ ცეცხლზე. ერთხელ  
წამოვადუღოთ და გავაციოთ.

ამ დროისათვის უკვე გამზადებული ნა-  
ყინი მაცივარში უნდა იდგეს შუშის ან მომი-  
ნანქრებულ ჭურჭელში. მომზადებული ხილის  
სიროფი, ხილის მასა და ნაყინი ერთმანეთში  
კარგად შევეურიოთ, კარგად გავთქვიფოთ, ჩა-  
ვასხათ ფორმებში და შევდგათ მაცივარში  
რამდენიმე საათით.



## აკაჟინის ნაყინი

ორი კვერცხის გულს შევეურიოთ 3/4  
ჩაის ჭიქა შაქრის ფხვნილი და კარგად ავ-  
თქვიფოთ. დავემატოთ ცოტა ვანილი, გავ-  
ხსნათ ნახევარ ჩაის ჭიქა მდუღარე რძეში  
და გავაციოთ. ცალკე კარგად ავთქვიფოთ  
ერთი ჩაის ჭიქა არაჟანი და ნელ-ნელა შევე-  
ურიოთ კვერცხიან მასას, ისე კარგად ავთქვი-  
ფოთ, ჩავასხათ ფორმებში და შევდგათ მა-  
ცივარში რამდენიმე საათით.

## ხილის ნაყინი აკაჟინით

არაჟინის ნაყინი ზემოთ აღწერილი წესით  
უნდა მომზადდეს, 1 საათით შეიდგას მაცი-  
ვარში (შუშის ან მომინანქრებული ჭურჭ-  
ლით). ამ დროისათვის ნახევარი კილო ახა-  
ლი ხილი (ხენდრო, მარწყვი, გარგარი,  
ალუბალი) გავრეცხოთ, გამოვაცალით კურ-  
კა, გავხეხოთ. მიღებულ მასას დავემატოთ  
1 ჩაის ჭიქა შაქრის ფხვნილი და შევეურიოთ  
არაჟინის ნაყინს. კარგად ავთქვიფოთ, ჩავას-  
ხათ ფორმებში და რამდენიმე საათით შევ-  
დგათ მაცივარში

## ყავის ნაყინი

3 ჩაის ჭიქა ცხელ რძეში გავხსნათ 4 ჩაის  
კოვზი ყავა. წამოვადუღოთ და გავწუროთ.  
ყავიან რძეში შევეურიოთ ნაყინისათვის მო-  
მზადებული მასა (გოგლიმოგლი, კარტოფი-  
ლის ფქვილი, ვანილი), შევდგათ ნელ ცე-  
ცხლზე. განუწყვეტლივ ვურიოთ, სანამ თავ-  
ზე მომდგარი ქაფი არ გაქრება (არ უნდა  
ადუღდეს), გავაციოთ, კარგად ავთქვიფოთ.  
ჩავასხათ ფორმებში და შევდგათ მაცივარში  
რამდენიმე საათით.

## სივი ყავა ნაყინით

მოვადუღოთ ყავა (ორი ჩაის კოვზი ყო-  
ველ ჭიქა წყალზე), გავწუროთ, გავაციოთ.  
ჩამოვასხათ ყავის ფინჯნებში. მირთმევის წინ  
ყოველ ფინჯანში ჩავდოთ ერთი სუფრის  
კოვზი ნაყინი.

## სივი ყავა კვირსხით


მოვადუღოთ 2 ჭიქა ყავა. გავწუროთ და  
გავაციოთ. 1 კვერცხის გულს შევეურიოთ  
2 სუფრის კოვზი შაქრის ფხვნილი და კარ-  
გად ავთქვიფოთ. 1 კვერცხის ცილა ავთქვი-  
ფოთ სათქვეფით, შევეურიოთ 15 წვეთი რო-  
მი ან კონიაკი, ცოტა ვანილი. ყავა ჩავას-  
ხათ ფინჯნებში. მირთმევის წინ ყოველ  
კვერცხის გული და ერთი სუფრის კოვზი  
კვერცხის ცილა.

## ხილის კენჭი

ყოველ ჩაის ჭიქაში ჩავდოთ ყინულის ნა-  
ტეხი, ჩავემატოთ ნახევარი ჩაის ჭიქა შაქ-  
რის სიროფი (ნახევარ ჩაის ჭიქა წყალში  
უნდა ჩავდოთ 1 სუფრის კოვზი შაქრის  
ფხვნილი, ავადუღოთ, გავაციოთ), დანის  
წვერით აღებული ლიმონის სიმკავე, ერთი  
სუფრის კოვზი კონიაკი, ერთი სუფრის კოვ-  
ზი ლეიორი, ორი სუფრის კოვზი ვახეხი-  
ლი ხილის მასა (მარწყვი, ხენდრო, ალუბა-  
ლი, გარგარი, მავალი ან სხვა). ჭიქა უნდა  
შევევსოთ ბორჯომის ან ვახიანი წყლით.

## სივი კაკაო ნაყინით

მოვადუღოთ კაკაო (ერთ ჩაის ჭიქა რძე-  
ზე ერთი ჩაის კოვზი კაკაო), გავაციოთ.  
მირთმევის წინ ყოველ ფინჯანში ჩავდოთ  
ერთი სუფრის კოვზი ნაყინი.



## სივი კაკაო კვირსხით

მოვადუღოთ კაკაო, შევეურიოთ კვერცხის  
გული, ათქვეფილი შაქრის ფხვნილში (ორი  
ჩაის ჭიქა კაკაო, ერთი კვერცხის გული, ორი  
სუფრის კოვზი შაქრის ფხვნილი). შევდგათ  
ნელ ცეცხლზე 5 წუთით. გავაციოთ. ავთქვი-  
ფოთ სათქვეფით და ჩამოვასხათ ფინჯნებში.

# საქართველოს უმაღლესი საბჭოს

რომანი: მარტოხელა კაცის ოცნება. მარტოხელობა იმ კაცის ოცნება. რომელსაც რომანი აქვს.

მწერალი ქალი ორ დანაშაულს სჩადის: აღიდებს წიგნების რიცხვს და ამცირებს ქალთა რაოდენობას.

ბარი: ადგილი, სადაც ყოველ სადამოს უკანასკნელად მიდინარ.

ქუჩის მოძრაობა ქალაქში: კატასტროფათა ჯამი, რომელსაც სასწაულით ვიცელებთ თავიდან.

ადამიანები რომ არ ოხრავდნენ, ქვეყანა ბოღმით გაიფუდებოდა.

ოდესღაც ამბობდნენ: შტერია, მაგრამ მდიდარიო, მაშინ ცუდი დრონი მეფობდნენ. ახლა ამბობენ: მდიდარია, მაგრამ შტერია, — უკეთესი დრონი დაგვიდგნენ.

უსამართლობის საზომი ყველასათვის ერთნაირი უნდა იყოს.

ექვსი წლის ბიჭი ტყუპებს მისჩერებია: „დედა, ის რატომაა ორი, მე კი ერთი?..“

ზოგიერთი კაცი, შესაფერ, ე. ი. უფრო პატარა ფორმატამდე რომ შემამცრო, შეიძლება, მეტად სასარგებლო გამოდგეს.

ქრისტიანობამ დიდი სამსახური გაუწია სიყვარულს, აღიარა რა იგი ცოდვად.

ბრაზი: მრისხანების უტაქტობა.

ტრაგედია: შეგიყვარდეს მხოლოდ სახე და ითხოვო ქალიშვილი მთლიანად.

მავანწალა: კაცი, რომელსაც ტურისტები ერქმეოდა, ფული რომ ჰქონდეს.

ტაქტი: ჩვენი აზრების უთქმელი ნაწილი.

ჭარხალი: კარტოფილი, რომელსაც წნევამ დაარტყა.

94 წლის მოხუცს ვიცნობ, რაც თავი ახსოვს, სვამს და ხარით ჯანმრთელია. მის ძმას კი, პირიქით, მისდღეში წვეთი არ ჩაუკარებია პირში და ორი წლისა კი გარდაიცვალა.

დედოფალი: ქალი, რომელიც მართავს სახელმწიფოს, როცა მეფე არ არის, და ქალი, რომელიც მართავს სახელმწიფოს, როცა მეფე... არის.

ერთ ქალს: აფსუს, რომ 20 კილოთი ადრე არ გიცნობდით.

სახლის დალაგება: მტერის ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანა.

ეგოისტი: ვინც თავის თავზე მეტად ზრუნავს, ვიდრე ჩემზე.

ბელადონა: იტალიურად მწვენიერი ქალი, სხვა ენებში, იტალიურის ჩათვლით, ძლიერი შხამი.

წესიერი ქალიშვილი ბიჭებს არ დასდევს. განა ვინმეს უნახავს თავგებს უკან დასდევდეს მასზე?

ივლისი: თვე, როცა არ შეიძლება გაიღოს ის ფანჯარა, რომელიც დეკემბერში არ იკეტება.

სიყვარულისთვის, ქალბატონო, ძალიან მოხუცი ვარ, მეგობრობისთვის კი მეტად ახალგაზრდა.

კვერცხს რომ სხვა ფორმა ჰქონდეს, ქათმის ცხოვრება ჯოჯოხეთად იქცეოდა.

სიყვარული: ერთადერთი ფიზიოლოგიური ფუნქცია, რომელმაც კარიერა ფაიკეთა.

ჩიტმა მუხის წვერზე ლოკოკინა შენიშნა: „როგორ მოხვდი აქ?“ „სოხვით, ჩიტუნი, სოხვით.“

ერთ ქალს ვიცნობდი, ისეთი ელაში იყო, ისეთი ელაში, რომ როცა ტიროდა ცრემლები ყურებიდან გადმოსდიოდა.

აკრძალულ ხილს ჩადგმული კბილებით ნუ ჩაკბიჩავ.

დავარდნილი ჭიჭა ასე როდი დაიმსხვრეოდა, ქალები რომ კვიღს არ ტეხავდნენ.

ქალებს რომ დრო არასოდეს ყოფნით, რა გასაკვირია? — ნახეთ, მაჯაზე რა პატარა საათი უკეთიათ.

საიუბილეო სიტყვა: უნარი ორწუთიანი აზრი გაშალო ორსაათიან მოხსენებაში.

რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი	სარედ. კოლეგია: ნ. გურგენიძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ვ. სირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), თ. წერეთელი, ნ. ჭავჭავაძე. ტექნიკური რედაქტორი ქ. დემუროვა.	ხაქ. კვ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა
რედაქციის მისამართი — სულხან-საბას ქ. № 15. ტელ. №№ 9-50-39, 9-98-71, ფიზ. ფორმ. რაოდ. 175. პირობით ფორ. რაოდ. 5,3.		
ხელმოწერილია დასაბეჭდად 24/VII, 1967 წ. ქალაქის ზომა 60x92. ტირაჟი 100.000, შეკვ. № 2600, უე 05506, ფასი 30 კპ.		

საქ. კვ. ცვ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, ლენინის ქ. № 14.  
 ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ეურნალი „საქართველოს ქალი“.  
 Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал «Сакართველოს კალი».  
 Издательство ЦК КП Грузии.



## მოდები

1. კოფთა გაწყობილია ფართო მაქმანით, რომელიც თამასაშია ჩამაგრებული. ქვედატანს ტრაპეციის ფორმა აქვს, ჭიბეები — ჩაქრილი; წელში ან წელსქვევით გაუ-რილი აქვს ქამარი.

2. კოფთა უბრალო მაქმანისაგან. თამასა (პლანკა) და საუელო სადა ქსოვილისა. ქვედატანი — სწორი.

3. სპორტული ბლუზა მთლიანგამოჭრილი სახელოთი ჭიბეები და საუელო ორმაგი გვირისტითაა გაფორმე-ბული. ტრაპეციის ფორმის ქვედატანი კუმოკრული ქსოვილისაა.

4. უბრალო პოლინის ბლუზა გაწყობილია ნაკერე-ბითა და გვირისტით. ქვედატანი — კლოში. მისი წინა ნაჭრები ორმაგად დაგვირისტებულია.

5. ბლუზას მიკერებული აქვს ფართო ქამარი. გაწყობილია ვიწრო უბრალო მაქმანებით. ქვედატანი გა-ნიერია, წინ ღრმა შემხვედრი ნაკეცი.



საქართველოს კომკავშირის სახელოების კრების ლაურეატის, ნიჟიერი ახალგაზრდა მხატვრის დიმიტრი ერისთავის ნამუშევრები ხშირად ამოვინებს ჩვენი უურნალის ფუცღლებს. იგი ავტორია მრავალი უსანიშნავი მხატვრული ტილოსი, ერთი მათგანი „გაფაფხულის დღე“.

ამჯერად იგეგმება ჩვენი უურნალის გარკვევა



ИНДЕКС 76178